645/1973/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

აგვისტო
№ 8 1973 წ.



ცნობილ ქართველ კრიტიკოსს, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს ბესარიონ ჟღენტს 70 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია ულოცავს პატივცემულ იუბილარს და უსურვებს ხანგრძლივ, შემოქმედებითი წარმატებებით სავსე სიცოცხლეს ჩვენი ერის, ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

**ბესარიონ ჟღენტი**

ფოტო
დ. იაკობაშვილისა

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 19 აგვისტო სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა



ბორტგამცილებელი ირა ზალეგაევა



მარცხნიდან: ბორტგამცილებელთა ინსტრუქტორი იზოლდა საგიქოვა, ბორტგამცილებელთა უფროსი ლილი ზარაბიძე, ბორტგამცილებელი გულნარა სატუროვა.

12.13 Կ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სხდომათა დარბაზში

საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის მოწვევით, მიმდინარე წლის 20-23 ივნისს, მოსკოვში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში ჩატარდა სოციალისტური ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ქალთა ჟურნალების რედაქტორების შეხვედრა-სემინარი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ უცხოეთის 19 და საბჭოთა რესპუბლიკების 20 ქალთა ჟურნალის მთავარი რედაქტორები, ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეხვედრა გახსნა საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარემ, გმირმა კოსმონავტმა ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვამ. იგი გულთბილად მიესალმა თათბირის მონაწილეებს.

ოთხი დღე გრძელდებოდა საუბარი ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, კორეის, კუბის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც განხორციელდა და რომლებიც უახლოეს ხანში უნდა განხორციელდეს სოციალისტური ქვეყნების ქალთა შემდგომი ინტელექტუალური და პროფესიული ზრდისათვის, მათი შრომის დედობისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, საოჯახო შრომის შემსუბუქებისათვის, ბავშვთა აღზრდისათვის. რედაქტორებმა ილაპარაკეს თავიანთი ჟურნალების პრობლემატიკასა და მთავარ მიმართულებებზე, გაეცნენ სხვა ჟურნალების მუშაობას.

გამოცდილების ურთიერთ გაზიარება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, დამეგობრება იყო ამ შეხვედრა-სემინარის მიზანი. სემინარის დამთავრების შემდეგ, ჯგუფებად დაყოფილი სტუმრები გაემგზავრნენ ბელორუსიასა, უზბეკეთსა და ლიტვაში.

კუბის ქალთა ჟურნალების „მუხერესისა“ და „რომანსეს“ რედაქტორები: კაროლინა აგილარი და ტერესა დიასი საქართველოს ეწვივნენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორპირელ მეჩაიეებთან

**წელს სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს 285.000 ტონა ჩაი**

გეყოფათ, ქალებო, დალამდა, ეს მოკრეფილი ჩაი მაინც როდისღა გინდათ აწონოთ?

...და ბრიგადირმა ვინ იცის მერამდენეჯერ შემოჰკრა ბებერ წაბლის ტოტზე ჩამობმულ ზარს. მაგრამ ქალები არ ჩქარობენ ჩაის პლანტაციებიდან გამოსვლას, მათი თითები ბინდშიც არჩევენ ლორთქო დუყებს.

მერე და შინ რამდენი საქმე ელოდება თითოეულ მათგანს!

მაგრამ ჩაის რომ არ ეღალატება! ხვალამდე, იქნებ გადაუხეშდეს დუყები, მაშინ წყალში ჩაიყრება წინა დღეების ნაჯაფ-ნაშრომი, ან თავმჯდომარეს რაღა პირით შეხედონ — დღეში ათჯერ მაინც ამოირბენს ეს მთასავით კაცი აღმართს და პლანტაციებში გამალებით მომუშავე ქალებს შეეხმიანება.

— აბა თქვენ იცით, ქალებო, წელს ამინდის ჭირვეულობაც გვეყოფა და თუ არ ვიბეჯითეთ, შევრცხვებით.

ამინდმა მართლაც ძალიან შეუშალა ხელი ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირის კოლმეურნეობის მეჩაიეებს. ჯერ იყო და გამოზაფხულებას არ დაადგა საშველი, მერე მაისში ტემპერატურის ისეთი ცვალებადობა დაიჭირა, რომ ღამით ზოგჯერ ნოლ გრადუსამდე დადიოდა და ერთბაშად მოახმო განსაკუთრებით მდინარის პირას გაშლილი პლანტაციები.

ორპირელმა მეჩაიეებმა გული მაინც არ გაიტეხეს, თავი არ დაიზოგეს და შეუსვენებლად იშრომეს გადარჩენილი პლანტაციებიდან კარგი ხარისხის მწვანე ფოთლის მისაღებად.

რაიონში დიდი და პატარა ფეხზე დგას. ალიონზე სახლიდან გასულები გვიან დაბინდებამდე კრეფენ ჩაის ფოთოლს. მარტო მეჩაიეები კი არა, და პლანტაციაში ხშირად არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, სამედიცინო პერსონალი, კოლმეურნეობის კანტორის მუშაკები. ამაოდ მოინდომებთ ვინმე ნახოთ კოლმეურნეობის კანტორაში.

— ჩაიში არიან, ბატონო, წასულები, — თავაზიანად გიპასუხებთ მოხუცი დარაჯი.

ორპირის ჩაი ერთ-ერთი საუკეთესო ხარისხისაა რესპუბლიკაში. აქაურ, ტანინით მდიდარ შავ ბაიხაოს პროცენტულად საკმაოდ დიდი ადგილი უკავია საექსპორტოდ გამზადებულ ქართულ ჩაიში. ორპირის ჩაის ფაბრიკიდან პროდუქცია სამტრედიის, თბილისისა და მოსკოვის ჩაის დამფასოებელ პუნქტებში მიდის, მერე კი მთელს კავშირში იგზავნება.

აქაური ჩაის კარგი ხარისხი ტყიბულის რაიონის ეწერმა ნიადაგმაც განაპირობა. მაგრამ მარტო ნიადაგი ვერ უშველის, ყურადღება და მოვლა რომ არ ჰქონდეს ბუჩქებს.

ორპირი ერთ-ერთი დიდი კოლმეურნეობაა რაიონში. მისმა ფულადმა შემოსავალმა მარტო ჩაიდან გასულ წელს 904.573 მანეთი შეადგინა. ახლა თვით სოფელს გადახედეთ! ორსართულიანი ლამაზი სახლები ძვირფასი ავეჯითაა გაწყობილი. ტელევიზორი, პიანინო, ავტომანქანა, გაზი თითქმის ყველა ოჯახშია. ამ მხრივ ქალაქს გაუტოლდა ორპირი. გასულ წელს მეჩაიე ელენე გიორგაძემ 3.800 მანეთი მიიღო კოლმეურნეობიდან, დ. გიორგაძემ — 2.759 მანეთი, ალ. ლომთაძემ — 3.600 მანეთი და ა. შ. 5-6 და ზოგჯერ 8 ტონა ჩაისაც კრეფენ სეზონზე მოწინავე მეჩაიეები: ვენერა დოლონაძე, ნათელა გოლაძე, ნაზიკო და სულიკო ლომთაძეები, ნაზიკო ბერეჩიკიძე, ნინო გიორგაძე, მერგოლური დალი მორჩაძე. მათ შარშან საუკეთესო მოსავლის მიღებისათვის ფულადი პრემიაც დაიმსახურეს.

კოლმეურნეობის ბრიგადებსა და რგოლებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. გასულ წელს კოლ-

ძეურნეობის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია შეჯიბრებაში გამარჯვებულ მეექვსე ბრიგადის მშრომელებს ხვდათ წილად.

მაგრამ ჩაის ხარისხისათვის გადამწყვეტი მაინც აგროვადების ზუსტი დაცვაა. სწორედ ამას აქცევენ დიდ ყურადღებას ორპირის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები — თავმჯდომარე გიგლა გვეტაძე, მთავარი აგრონომი ნინო ჩხიკვაძე, მთავარი ეკონომისტი ქეთინო მძინარიშვილი და სხვები. შემოდგომაზე, როცა ჩაის პლანტაციები მსუბუქად უნდა გადაბარონ და სასუქი შეიტანონ, კოლმეურნეობასთან არსებული ლაბორატორია ყველა ნაკვეთის ნიადაგის შემადგენლობას სინჯავს და ადგენს, რამდენჯერ დასჭირდება მას აზოტით გამდიდრება ან რა რაოდენობითაა შესატანი ფოსფორი და სხვა მინერალური სასუქები.

მერე ჩაის შიშველი ბუჩქები დიდი თოვლით იფარება. ადრიან გაზაფხულზე მათ ყურადღებით სხლავენ, აძლევენ ოვალურ ფორმას, ებრძვიან მავნებლებს. ეს კი ერთ-ერთი ყველაზე რთული ოპერაციაა ჩაის მოვლაში. ამ საქმეში აქტიურ დახმარებას უწევს მეჩაიეებს ტყიბულის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მცენარეთა დაცვის სახელმწიფო ინსპექტორი ციალა გოჩალაშვილი.

მეჩაიეებს გულდასმით ასწავლიან კოლმეურნეობის აგრონომები ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წესებს, უშუალოდ კრეფის დაწყების წინ აჩვენებენ მათ როგორ უნდა შეირჩეს დუყები. ფოთოლი რომ არ გადახურდეს, დროულად უნდა მიიტანონ ფაბრიკაში, ამ ღონისძიებებმაც განაპირობა ორპირის ჩაის საუკეთესო ხარისხი.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ უწყობს ხელს მეჩაიეებს, აუმჯობესებს მათ შრომის პირობებს. ისინი უზრუნველყოფილნი არიან სასხლავი იარაღებით, კალათებით, საუზმე უშუალოდ ჩაის პლანტაციებში იგზავნება ავტოდუქნებით.

მაგრამ ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ხელისშემშლელი მიზეზი, რომელთა აღმოფხვრა უფრო ნაყოფიერს გახდიდა მეჩაიეთა შრომას. განსაკუთრებით უჭირთ მათ წვიმიან ამინდში, რადგან სპეცტანსაცმელი უხარისხოა, საწვიმარი ლაბადები კი ადვილად იხევა ჩაის ბუჩქებზე, მთელი დღის განმავლობაში სველი ტანსაცმლით მუშაობენ ქალები. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა შეეცადა უფრო გამძლე ქსოვილი შეეძინა საწვიმრების შესაკერად, მაგრამ ქსოვილის ფასი ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა. დიდი გასაჭირია თერმოსებზე. მაღაზიამ წელს 50 თერმოსი მიიღო, კოლმეურნეობაში კი 600-მდე მუშახელია ჩაიში დასაქმებული. ყველა ნაკვეთთან ხომ არ იქნება წყარო. იმის საშუალებაც არ არის, რომ ცივი წყალი მთელ დღის მარაგად ჰქონდეთ პლანტაციაში მომუშავე ქალებს. ხელშემშლელი მიზეზები რომ არ იყოს, უფრო მაღალი იქნებოდა მეჩაიეთა შრომის ნაყოფიერება.

**ლეილა ხიწაძე**

# წაუკითხეთ პატარებს

**იმერი ხარაძე**

## ბაქიბუქობს ყვინჩილა

„ჭასთან ტურა ვნახეო,
აშარიდა სახეო,
უნდა მოვჭრა სახრეო
ან დავუგო მახეო", —

ბაქიბუქობს ყვინჩილა,
თავი გამოიჩინა.
იხვს რად ჩაეცინაო? —
ინდაურთან იჩივლა.

**ავთანდილ მეგრელიშვილი**

## გოგიტა

ძია ვასო ვენახს თოხნის,
ეხმარება გოგიტაც —
პაწაწინა კვალი მიაქვს,
პაწაწინა თოხითა.

**დავით ხუროძე**

## ავდარია-დარია

ავდარია-დარია,
ხვალ როგორი დარია?
ცას არტყია შვიდფერი
ცისარტყელას ქამარი.
რა ლამაზი ფრთები გაქვს,
რა ხატულა რამ არი...
გიყვარს ფრენა მთა-ბარად,
ახა, შეჰკარ კამარა,
ავდარია-დარია,
ხვალ როგორი დარია?.

**თინათინ კვირიკაძე**

## დასჯილები

დედამ პატარა მელია
რად დააყენა კუთხეში?
— მიტომ რომ, თავის დედიკოს
სიტყვა აკადრა უხეში.
რატომ დასაჯა კურდღელმა
თავის პატარა ნაცარა?
— მიტომ რომ, დედას სტუმრებთან
ლაპარაკი არ აცალა.

## ძილისგუდა

ჩქარა უნდა გავაღვიძოთ,
ზურიკელა ძილისგუდა.
იქნებ კიდეც გაიგუდა,
გვერდზე რომ არ გადაბრუნდა!

**ნელი დარსაველიძე**

## ტყეში

ბილიკ, ბილიკ,
სერი, სერა,
ტყეს ვეწვიეთ
მე და გელა,
ჩვენთან გაჩნდნენ:
ზურა, ზაზა,
ნუნუ,
გია, მაკა, ნონა,
მოჩუხჩუხე ნაკადულმა
თავი ძლიერ მოგვაწონა.
ვითამაშეთ ტყეში ბევრი,
მოვიჯერეთ ამით გული,
დედიკოსაც წამოვუღეთ
ყვავილების თაიგული.

**ლია ზანგურაშვილი**

## ლალი

ეზოში შემომეგება
ცისფერთვალება ქალი,
მომხვია ხელი პატარა,
აუციმციმდა თვალი.
რაღაცას შემომჩიოდა —
თოჯინებზეა მწყრალი,
ის გაჯავრებაც შვენოდა,
ისე კარგია ლალი.
როცა იცინის, ეფრქვევა
შუქი მზისა და მთვარის.
ჩვენი სიცოცხლის წყაროა
ეს თითისტოლა ქალი.

**ჯანიკო გაბუნია**

## სათვალე

გულმავიწყი გამხდარა
ჩემი კარგი ბებია.
აი, ახლაც სათვალე
სადღაც დავიწყებია.
მიდის, მოდის, დაეძებს,
ჯავრიანად ქაქანობს,
რა იქნება: სათვალემ
დაუძახოს — აქ ვარო?

დავით ასაურავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიხარულით სავსე მატარებელი

მოთხრობა

(დასასრული)

მხატვარი **ლ. შენგელია**

სკოლაშიაც ასე ხდებოდა: დავაშავებდი რამეს და დამიბარებდნენ დირექტორთან. ერთი განსხვავება იყო მხოლოდ: დედაჩემი არავის დაუბარებია აქ. „ესეც შეღავათი“ ვფიქრობდი და ხისლანჩიანი ფეხსაცმელ.ბის ბრაგუნით ვტკეპნიდი დერეფანს.

რეზომ და აზიზამ წინასწარ დაზვერეს ყველაფერი და გაიგეს, რომ ჩვენი საამქროს უფროსი და პაიკაძე თანაკურსელები ყოფილან. ამ წვრილმანი ფაქტის გარდა, არაფერს არ უნდა შეეშალა ხელი ჩემი გამართლებისათვის. თუმცა, ფიქრები მაინც მიკარგავდნენ მოსვენებას. თავის გამართლების საიმედო აზრის ძებნაში დერეფნის ბოლოს მივაღწიე, გამოტეხილი ფანჯრიდან გრილი ჰაერი შემოდიოდა და გახურებული შუბლი მინის ცივ ნარჩენს მივადე: გავშეშდი, სწრაფად დავხუჭე და გავახილე თვალები, მერე ერთბაშად ფანჯარას მოვწყდი და თავპირისმტვრევით გავექანე კიბეებისაკენ. კიბეზე ვიღაც კაცს გავკარი გვერდი, კაცი დაბარბაცდა და სათვალის ქსალებად რომ დაიხარა, მაშინღა ვიცანი — პაიკაძე იყო. უკაცრავად-მეთქი. წავილუღლუღე. სათვალის ნამსხვრევები და მტვერში ამოსვრილი საქაღალდე ხელში მივაჩეჩე და კიბეები ჩავირბინე. შენობის კუთხეში მოვუხვიე თუ არა, პირდაპირ შევეჩეხე. იგი გაჩერდა და დიდრონი, თაფლისფერი თვალები შემომანათა.

— ზემოდან დაგინახე. — ვთქვი და წამოვწითლდი

იგი მშვიდად იდგა და იღიმებოდა. მოულოდნელობისაგან გაოგნებული სჩანდა. არ ჭოდა რა ექნა. არც მე ვიცოდი... მაგრამ მისი დაფანტული ღიმილი მომწონდა და შევყურებდი. მან გაუბედავად წადგა ნაბიჯი. ახლა კი ვიკადრე და ამოვთქვი:

— ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, მე და გიო. — წამოვიძახე.

მას მაცდური ღიმილი გაექცა ტუჩის კუთხეში და ერთბაშად მთელ სახეზე შეაცოცდნენ ატმის ყვავილები.

— სამაგიეროდ, მე არ გიცნობთ თქვენ.

— მაშ იქ — საშვის ბიურო...

— მაინც, რომელ გიოს იცნობთ?

—გიოს,. აი...

— მერე, მე რა შუაში ვარ?

— არაფერი, დაგინახეთ და...

— კარგად ბრძანდებოდეთ. — იგი შებრუნდა და წავიდა.

— თქვენ აქეთ არ მოდიოდით?

— არ დავიბნევი. — დამაიმედა.

რეტდასხმულივით ვიდექი. ორიოდე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვახერხე...

კიბეებზე ასვლისას ჩოჩქოლი შემომესმა, მაღლა ავიხედე, მოაჯირზე გადმომდგარი ხალხი მე მომჩერებოდა. ხმამაღალი ლაპარაკი შესწყვიტეს და ამ სიჩუმეში გარკვევით გავიგონე პაიკაძის ბუზღუნი: თავი დამარტყა, ხალხო, თავიო.

ნელა მივყვებოდი საფეხურებს, კიბის ბაქანთან ისევ ავწიე თავი. ჩვენი საამქროს მეტაბელე ქალი შუბლს უსინჯავდა პაიკაძეს. პაიკაძე გმინავდა, სახეს იღრეცდა. ზოგი ჩუმჩუმად იცინოდა მის საქციელზე.

საამქროს უფროსი სამმართველოში დაყოვნდა და ჩემი განკითხვის დღე გადაიდო. ცვლის დამთავრებამდე აფორიაქებული დავდიოდი საამქროში. ნელ-ნელა ვერკვეოდი მომხდარში. მივსულიყავი და ბოდიში მომეხადა? მართალია, მტყუანი არ ვიყავი, მაგრამ, ვიცნობ ასეთ ვაჟბატონებს, მარტოკას ცხვირ-პირი რომ ამოუნაყო, ხმას არ ამოიღებენ, ოღონდ სახალხოდ მოუხადე ბოდიში.

ყველაზე მეტად ის მახელებდა, რომ არავინ არაფერს მეკითხებოდა. რეზო, აზიზა და ვიტალიც კი სადღაც გადაიკარგნენ. გერონტი მეფოლადეებს და კაზმის შემომზიდავებს ედავებოდა და ჩემთვის არ ეცალა. ორ-სამჯერ ჯაბა იაქაშვილს წავაწყდი,. უმზრახივით მარიდებდა თვალს.

ალექსი ფანჯარასთან იჯდა. ხელში დახურული წიგნი ეჭირა და დროდადრო თითებს უკაკუნებდა ყდაზე. იუზა ბოლთას სცემდა, მარცხენა ხელი ჯიბეში ჩაედო, მარჯვენათი კი ღინღლწამოზრდილი ნიკაპი ჩაებღუჯა. ავთო მაგიდას უჯდა და ჩანგლის წვერით პურის ნამცეცებს აგროვებდა. ვიტალიც იქ იყო, აზიზაც. კარი რომ მოვიხურე, მერე დავინახე ისინი.

„იჩხუბეს ალბათ.—გავიფიქრე.—რა თქმა უნდა, ავთო წამოიწყებდა. ახლა კი მამა აბრამის ბატკანივით უჭირავს თავი. ოთახში რომ წესრიგი შევნიშნე, განვცვიფრდი. ჩხუბის შემდეგ, ჩვეულებრივ, თავდაყირა იდგა ხოლმე ყველაფერი.

— რა მოხდა, ბიჭებო?

ალექსიმ ხელისგული დაჰკრა წიგნს, აზიზა აიფხორა, იუზა აივნის კარებთან გაშეშდა, ავთომ ჩანგალს გაუშვა ხელი და შეგროვილი ნამცეცების სრესა დაიწყო. ვიტალიმ ჩაახველა. მერე ყველამ ერთდროულად შემომხედა.

— როგორაა საქმე? — მკითხა ალექსიმ.

— ჩვეულებრივად.

— უფრო დაწვრილებით? — ეს იუზამ იკითხა. იგი ისევ ისე იდგა კარებთან, გაოგნებული. აზიზა საწოლის თავს მოცილდა და ღია ფანჯარასთან დადგა.

—ჯერ ისა თქვას, სად იყო ამდენ ხანს?—მკვახედ შენიშნა ავთომ.

— დიახ, სად იყავი? — გაიმეორა ვიტალიმ.

— სატელეფონო სადგურში, დედას ველაპარაკე.

— ხომ არაფერი გითქვამს?—შეშფოთდა იუზა.

— რა საკადრისია?! ჩემს მაგიერ მიუგო ავთომ.

— დედამისს როგორ ეტყოდა?

— რა უნდა მეთქვა?

— რა და ის, იმ ვიღაც პაიკაძეს თუ ეტლაძეს რომ მიაკერე სიფათში. — ხელების ქნევით ამიხსნა აზიზამ.

— კი, მაგრამ...

— რეზო იყო, ყველაფერს მოგვიყვა. — შემაჩერა იუზამ.

— ვერ გამიგია, რატომ უნდა გაექიანურებინათ გამოგონების განხილვა?

— ეხ, პოეტო, პოეტო! — ჩაიცინა ავთომ. — ესეც თუ ძნელი გასარკვევია, მაშ მეთანხმები თუ არა, რომ ზურგით ამობრუნებულ ოცდათექვსმეტ კარტში, ოთხი ტუზის ამომცნობი გენიოსია?

— მაინც რას ფიქრობს „გენიოსი“? — წააქეზა იუზამ.

— ჰო, რას ფიქრობს? — თითქმის ერთხმად იკითხეს ვიტალიმ და აზიზამ.

— თქვენც ალექსისავით გიჭირთ მაგ საკითხის გამოცნობა, თუ?.. — იკითხა ავთომ.

— წარმოიდგინე, მთლად ზუსტად. ვერ გავიგეთ, რატომ უნდა მომხდარიყო ასე. — თქვა ვიტალიმ.

— იქნებ თქვენთვისაც გაურკვეველი იყოს. — მე გადმომხედა. — რაკი ასეა, შექმნილი მდგომარეობა მაიძულებს ნათელი მოვფინო ბნელს. ერთი წუთით, — ავთომ ჯიბეზე გაიკრა ხელი, ტკიცინა ბანქოს შეკვრა ამოიღო, საოცარი სისწრაფით აჭრა, მოდრიკა და აახმაურა.

— კარტის გარეშე არ მოხერხდება? — შენიშნა იუზამ.

— საქმე რაშია იცით? — ავთომ გრძნეულივით მინაბა თვალები. — თქვენ ისეთ რამეს ვერ ხედავთ... ილუზია თუ არ მოვიშველიე, ვერაფერს გაგაგებინებთ. თუმცა? — ბანქო ისევ ჯიბეში შეინახა და წამოდგა. — მას შემდეგ, რაც ჩვენში ფოლადის დნობა დაიწყეს, ღუმელების თაღების გადაწმენდა ჩვეულებრივი წესით ხდებოდა. მოგეხსენებათ, ეს პროცედურა სრულიად საკმარისად მიაჩნიათ და მის გაუმჯობესებაზე თავს არავინ იწუხებდა. მოულოდნელად გამოჩნდა ეს სუბიექტი, რომელსაც, როგორც მე მრავალგზის აღმინიშნავს, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფის იშვიათი მიდრეკილება აქვს. დიახ, გამოჩნდა და განაცხადა: გამოფხიზლდით, დაგმეთ ყოველივე დრომოჭმული და ძველი! აქ კი, ბატონებო, როგორც მოსალოდნელი იყო, — ხმა დაიდაბლა ავთომ, — განაწყენდნენ კომპეტენტური ამხანაგები, გასაგებია?

ავთომ ისეთნაირი ჟესტიკულაციითა და ხმის შენაცვლებით წარმოთქვა სიტყვა, სიცილი ვერ შევიკავეთ.

— ე, ბიჭო, იარე რა ქარხნის დრამწრეში. — შეეხვეწა იუზა.

— გადავიდეთ მეორე საკითხზე, — პათეტიკურად წარმოსთქვა ავთომ — ჩვენ...

— ჩვენ უნდა გავარკვიოთ უიღბლო გამომგონებლის ბედი. — სიტყვა ჩამოართვა ალექსიმ. — თუ პაიკაძე ნამდვილად ისეთი ადამიანია, როგორადაც მიაჩნიათ რეზოს, აზიზასა და პატივცემულ გამომგონებელს, გამორიცხული არ არის, რომ...

— დიახ, გამორიცხული არ არის, რომ თუ ჩვენმა ფრიად პატივცემულმა კონსტრუქტორმა კვლავ ასე გააგრძელა, შეიძლება სასამართლოში წარსდგეს. — სერიოზულად თქვა იუზამ.

— არა, ეს შეუძლებელია, — გამომესარჩლა ავთო. — ქმედება შემთხვევითია და სასამართლო არც კი მიიღებს.

— რომ მიიღოს? — ორჭოფულად იკითხა ალექსიმ.

— ნუ სულელობთ! — წამოიძახა ავთომ. — სასამართლოების მეტი რა მინახავს. ასეთი საქმე არ ირჩევა საერთოდ. და თუ ასე მოხდება, ბიძაჩემს ვთხოვ.

ავთოს ვიღაც დიდი კაცი ყავდა ბიძა, მგონი ხეირიანად არც კი იცნობდა, მაგრამ, როცა გაუჭირდებოდა, სულ იმას ახსენებდა ხოლმე.

აზიზამ მოკრძალებით ითხოვა სიტყვა, რაკი შენიშნა ბიჭები დაფიქრებით ბჭობდნენ და დარბაისლურად წარმოთქვა:

— პაიკაძეს უნდა მოველაპარაკოთ, თუ კაცია, გაგვიგებს, ბოდიშს მოვუხდით და გათავდება საქმე.

— ყოველგვარი მოლაპარაკება გამორიცხულია. — გაცხარდა ვიტალი. — ისეთი კაცი, რომელიც სრულიად უმიზეზოდ აჭიანურებს ნახაზების გაცნობას, შემდეგ ადამიანს ასმენს საამქროს უფროსთან და ბოლოს აურზაურს ტეხს არაფრისათვის, უფრო სწორად, შემთხვევით დაჯახებისთვის, მოსალაპარაკებლად არვარგა. მივიდეთ პარტკომთან და...

„ყველაფერი გასაგებიაო“, — დაასკვნეს ბიჭებმა, თუმცა აზიზა ეთანხმებოდა საერთო აზრს, მაინც მოლაპარაკებას მოითხოვდა.

— გადაწყდა, — თქვა ავთომ. — ახლა კი წავიდეთ. — საესტრადო კონცერტზე გპატიჟებთ.

გვიან დავბრუნდით კონცერტიდან. დერეფანში, აზიზას და ვიტალის რომ დავემშვიდობეთ, იუზა და ავთო საესტრადო ხელოვნების აცკარგიანობის გარჩევას მოჰყვნენ და, ჩვეულებისამებრ, გაიქაჩნენ. კამათი ნამდვილად ცუდი ფინალით დამთავრდებოდა, რომ ალექსი არ ჩარეულიყო, მან ჩემი და პაიკაძის ამბავი წამოიწყო. სწორადაც მოიქცა, ამ საქმის გარშემო საუბარი გვაერთებდა, ერთმანეთისათვის უფრო ახლობელს გვხდიდა და გვაკავშირებდა ახალი წინადადებებისა და გზების ძებნაში დავწექით.

იუზამ წინადადება შემოიტანა, პარტკომში კი არა, ჯერ კომკავშირის საქარხნო კომიტეტში მივიდეთ და დახმარება ვითხოვოთო. ალექსიმ და ავთომ ერთბაშად მიიღეს წინადადება. მე ვდუმდი და საკუთარ თავს ვკიცხავდი იმისათვის, რომ აქამდე ცუდის მეტს ვერაფერს ვხედავდი ავთოში. „იგი მომავალშიაც ითამაშებს ბანქოს. იქნებ არც ითამაშოს, მაგრამ გასაჭირის ჟამს...“

ძილი არ მეკარებოდა, ვწრიალებდი და ბიჭებს რომ ჩემი ოხვრა არ გაეგონათ, საბანში ჩავიმალე. „კარგის მქნელსო...“ ეს რეზომ მითხრა დილით. იქნებ ყველაფერი მშვიდად დამთავრებულიყო, მაგრამ ცხადად ვხედავდი, ხმაურსა და დავიდარაბას ვერ ავცდებოდი. პაიკაძე, რა თქმა უნდა, ხმაურს მხოლოდ იმისთვის ატეხდა, თუ კი მე გავამხელდი მის წინადადებას თანაავტორობის შესახებ, წინასწარ იზღვევდა თავს — ეს ამბავი ცილისწამებად მიეღოთ. საიმედოსა და ხელის ჩასაჭიდს ვერაფერს ვხედავდი, გარდა იმისა, რომ საქმეში გერონტი ჩამერია, მაგრამ გერონტიმ წინასწარ გამაფრთხილა: საკუთარ თავს მიენდეო, სხვისი იმედი ნუ გექნებაო. სხვა მაშინ გადმოგიგდებს თოკის ბოლოს, შენს დასრულებულ უმწეობაში რომ დარწმუნდებაო. პაიკაძის მსგავსი არაკაცების გამოცნობაც და მათთან ბრძოლაც საკუთრივ უნდა შესძლოო.

არ ვიცი როდის ჩამეძინა, ან სულაც მეძინა თუ არა, მაგრამ ალექსის ბუზღუნი რომ გავიგონე, მზე კარგა მომაღლოდან დასცქეროდა ქვეყანას. ალექსი მაგიდასთან იდგა და მე და ავთოს გვაჩქარებდა.

— დაგვიანება გინდათ ახლა? ადექით, ადექით! ხე რომ წაიქცევაო... ისეა ეს ოხერი, — ბუზღუნებდა.

— თითის მიბჯენით მთას მოწყვეტილ ზვავს ვერ დაამაგრებ — ფილოსოფიური სიდინჯით წარმოსთქვა იუზამ.

ქარხნის ალაყაფის კარამდე კიდევ ერთხელ დავაზუსტეთ ჩვენი გეგმა, გადავწყვიტეთ შესვენებაზე საქარხნო კომიტეტში მოგვეყარა თავი.

საამქროში ჯაბა იაქაშვილი შემომხვდა. ახლა კი დავიღუპე-მეთქი, ვიფიქრე, დაგვიანებისთვის საყვედური არ ამცდება-მეთქი. მაგრამ იაქაშვილის მომღიმარე სახე რომ დავინახე, განვცვიფრდი.

— მთავარ გასასვლელთან ერთი ამხანაგი გელოდება. — მითხრა.

— მეე? — გავიკვირვე.

— დიახ, თქვენ. — ჭუტალა თვალებით შემომცინა. — დანარჩენზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ცუდად მენიშნე ქლესა კაცის ღიმილი.

• • •

მთავარ გასასვლელთან მამაჩემის მძღოლი რომ დავინახე, ერთი პირობა გაქცევა დავაპირე, მაგრამ ლევანმა შემნიშნა და ჩემკენ გამოეშურა.

— ასე მალე გადიდკაცდი, ბიჭო? ორი საათია გეძებ. დავამტვრიე ტელეფონები.

— გაეცი ჩემი საიდუმლოება, ლევანა ულმერთო, ხომ?

ლევანმა ყველა სალოცავი დაიფიცა, რომ ისე მომნახა, ერთხელაც არ უხსენებია მამაჩემის ვინაობა. რას დავუჯერებდი, იგი თონის პურსაც „ხაზეინის“ სახელით ყიდულობდა.

— აბა, ჩაჯექი და წავიდეთ! — თითქმის ძალით ჩამსვა მანქანაში. გზაში ლევანისგან გავიგე, რომ მამაჩემმა არაფერი იცოდა ჩემი ჩხუბის შესახებ, უბრალოდ ეთქვა, ბიჭი ჩამომიყვანეო...

— აჰ, ვაჟა! — მამაჩემი წამოდგა და ჩვენ ჩქარი ნაბიჯებით მივუახლოვდით ერთმანეთს.

— როგორ ხარ, ბიჭო? — მკითხა და გადამეხვია.
— ვარ, რა.
— ასე უნდა გადაიკარგო, კაცო? — საყვედური არ გამოუვიდა.
— დედას ხომ დავურეკე, წინა კვირადღეს ვარძიაში ვიყავით, ამ კვირას კი იყალთო და გრემი ვინახულეთ. ერთობა მუშათა კლასი.
— კარგია! — ღიმილით თქვა მამამ.
— არ არის ცუდი.
— ჩემი შვილი რომ ხარ, იციან?
— მგონი კი, საუბედუროდ.
— საუბედუროდ? — წარბები აზიდა მამამ.
— დიახ წარმოიდგინე, გავლენიანი მამის სახელი ჩრდილავს საკუთარი გზის მაძიებელ შვილს. მამა, არ გეგონოს ლოზუნგებით გელაპარაკებოდე. მე ჩემი გზა მინდა, ჩემი თვალით მინდა ვუცქირო ქვეყანას. ადრე შენ არ მიშლიდი ამას.
— ოჯახიდან ორი დღით გასვლა თუ ასე გამოგცვლიდა, ნამდვილად არ მეგონა. — ვერ მივხვდი წყენით თქვა თუ არა მამამ.
— არც მე მეგონა, მამა!
— ბიჭო, ვაჟიკო ხარ შენ, ჩემი შვილი?! — მამა ისევ გადამეხვია და ხელი რომ გამიშვა, სისველე შევნიშნე თვალებში.
— მე მგონი, სწორ გზას ადგახარ. — თქვა ბოლოს.
— არც მთლად, მამა.
— ამაზე სხვები ლაპარაკობენ. იცი, რისთვის ჩამოგიყვანე?
— ქარხნის დირექტორს დაურეკე?
— როგორ ფიქრობ, დავურეკავდი?
— არა! — მტკიცედ ვთქვი მე.
— ჩვენ მუდამ გვესმოდა ერთმანეთის, ვაჟიკო. — ჩაფიქრებით თქვა მამამ. — აი, ამისთვის მინდოდა შენი ნახვა. — მაგიდიდან გაზეთი აიღო და გაშალა.
გაზეთის შუაგულში ჩემი სურათი იყო. წერილში მომავალი მეფოლადის — ვაჟა ვეფხვაძის ქება-დიდება ჩქეფდა.
კარებში მამაჩემის ტექნიკური მდივანი გამოჩნდა:
— ვახტანგ ანდრეიჩ, მინისტრი გთხოვთ! — დაიძახა, მერე მე შემომხედა და დაშაქრული ხმით თქვა:
— როგორ დავაჟკაცებულა, არა?
— აბა, — თქვა მამაჩემმა და ვიგრძენი, რომ მას ნამდვილად სჯეროდა თავის დასტურის.

* * *

ყელში მოწოლილი ბურთი გადავყლაპე, დანამული თვალები გავახილე და დედას ხელი გავუშვი. მან ბეჭებზე ჩამომაცურა თბილი თითები, მსუბუქად ამოიოხრა და შებრუნდა. მე აივანზე გავედი.
— აუ, როგორ გაზრდილან ჩემი კაქტუსები! — დავიძახე.
— ჰო, გაიზარდნენ, აბა. — დედაჩემს თრთოლვა გამოუკრთა ხმაში.
— დედა...
— ვაჟას გაუმარჯოს! — ეს ნუგზარი იყო — ჩემი მეზობელი.
— გაგიმარჯოს, ნუგზარ!
— სად დაიკარგე? ზღვაზე იყავი?
კითხვა არ მომეწონა. ჩემი მშობლები, როგორც ჩანდა, საიდუმლოდ ინახავდნენ ჩემს გადაწყვეტილებას, თორემ რა შვილი იყო ნუგზარი, მათთვის რომ არ ეკითხა ჩემი ასავალ-დასავალი.
— ჩამოდი, ყველაფერს მოგიყვები.
— საღამოს მოვალ. თუ გინდა, შენ ამოდი ჩვენთან. იცი, რა ჩანაწერები მაქვს. ჰო, მართლა, იაპონური მაგნიტოფონი ვიყიდე.
არა მცალია-მეთქი ავძახე და ოთახში შევბრუნდი. დედა სუფრას აწყობდა. აღელვებას ვერ ფარავდა.
მამა მეორე ოთახში დაბორიალობდა. მთლად არხეინად, მგონი ვერც იგი გრძნობდა თავს, თუმცა მაინც ღიღინებდა.
მაგიდას რომ შემოვუსხედით, მამამ ხმაურით შეავსო სასმისები. ვგონებ ყოყმანობდა, წამომდგარიყო თუ ისე ეთქვა სადღეგრძელო. ბოლოს რაღაც გადაწყვიტა და წამოდგა.
— ოცდაორი წლის წინათ, — დაიწყო და თვალები მომაპყრო. — დედაშენმა და მე ერთადერთი საკუთარი თეფშით დავიწყეთ ოჯახი. — მამა შეჩერდა, მგონი უფრო მკვეთრად უნდოდა გამოეთქვა აზრი. — აგერ, შენც დავაჟკაცდი, პირველი ნაბიჯიც გადადგი, ჰოდა, პატიოსანი გზით გევლოს. — თქვა და სასმისი დაცალა.
რატომღაც მომეჩვენა, რომ მამაჩემი მთელი ათი წლით მოხუცდა ერთბაშად, მისი შევერცხლილი საფეთქლებიც პირველად შევნიშნე თითქოს.
— კარგად იყავი, ვაჟიკო. — ჩამესმა დედაჩემის ხმა.
რაღაც გაურკვეველი გრძნობა დამეუფლა. კინო-სურათებში, მგონი ცრემლებსაც ღვრიან ასეთ მომენტში.
მივხვდი, ბევრი რამ უთქმელი დარჩა დედაჩემს. მთელი საღამო თვალებში შემომყურებდა, თითქოს მძევლად მგზავნიდნენ მტრის ქვეყანაში.
დილით ადრე გავიღვიძე, რომ პირველი მატარებლისათვის მიმესწრო. დედამ დერეფანში გამომაცილა, გადამკოცნა და ძალიან, ძალიან ჩუმად მითხრა:
— წუხელ მთელი ღამე ბორგავდი ძილში, ვიღაცას ეკამათებოდი, ვაჟიკო, შენ ჩხუბობ იქ?
მე რაღაცის თქმა დავაპირე, დედამ ხელი ასწია — დამშვიდდიო.
— ახლა შენ, შენთვის უცხო გარემოში გიხდება ყოფნა. რაკი შენი ნებით აირჩიე ეს გზა, მიჰყევი მას. დაიხსომე, ვაჟა, ხალხი, რომელსაც შენი მომავალი დაუკავშირე, გამგები და გამტანია. დაუკვირდი, ტყუილუბრალოდ ნუ აუხირდები მათ.
— მე არავის არაფერს ვუშავებ, დედა, — ვთქვი, თუმცა მივხვდი, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, არაფერი მეთქვა.
— დედის მოტყუებას ნუ შეეცდები, ვაჟა.
მე თავი ავწიე და ვცადე დედაჩემისთვის თვალებში შემეხედა. — ასე ვიცოდი მოსწავლეობისას. თუ სკოლაში დანაშაულს ჩავიდენდი და დედა გაიგებდა, საკმარისი იყო თვალებში შემეხედა მისთვის, რომ დაუსჯელი დავრჩენილიყავი.
— არა, ვაჟა, რაც ამ ცოტა ხნის წინათ მოგეტევებოდა, აწი აღარ გეპატიება.
დედაჩემმა მტკიცედ თქვა ეს და რატომღაც საოჯახო ალბომში ჩაკრული მისი სურათი დამიდგა თვალწინ: იქ დედაჩემი ოფიცრის სამხრეებიან გიმნასტურშია გადაღებული, ბერლინის მისადგომებთან ახლოს. არ ვიცი რატომ, მაგრამ, ბავშვობიდანვე დავრწმუნდი, რომ დედას იმ სურათში ძალიან მკაცრი გამოხედვა აქვს.
— რატომ ჩაფიქრდი, ვაჟა?
— ომისდროინდელი შენი სურათი მომაგონდა, აი ის, მარტოკა რომ დგეხარ დანგრეული სახლის კიბეზე.
დედამ ოდნავ გაიღიმა.
— აბა წადი, წადი, არ დაგაგვიანდეს.
ისევ ვაკოცე და სწრაფად ჩავირბინე კიბეები. ეზოში რომ გავედი, დედაჩემი აივანზე იდგა.
— ხშირად დაგვირეკე, ვაჟა. — ჩამომძახა მან.

* * *

მატარებელში ოთხჯერ გამოვიცვალე ადგილი, ვერსად ვერ მოვისვენე. ვერაფრით ვერ მივხვდი, რისთვის ვნერვიულობდი. ვაგონის დერეფანში გავედი და კარს მივეყუდე. ძლივს მივაგენი უგუნებობის მიზეზს: მამაჩემმა არ გამომაცილა ხეირიანად, წვერს იპარსავდა და უბრალოდ გამომძახა, კარგად იყავიო.
— „არა, მამაჩემს მოსწონს ჩემი გადაწყვეტილება, მოსწონს კი არა, აღფრთოვანებულიცაა. უბრალოდ, არ უყვარს ზედმეტი ცერემონიები — თავი დავიმშვიდე. — დედასაც მოსწონს რაღაც, მხოლოდ იმავე რაღაცას უფრთხის. სწორად მოვიქეცი თუ არა? რა თქმა უნდა, ჩემი ნაბიჯი სწორია. რა უნდა მეკეთებინა შინ? — ალბათ, კერძოდ ვიელიდი პედაგოგებთან. მერე? მერე მოვიდოდა აგვისტო და გამოცდაზე გავიდოდი". ოდნავ რომ დავმშვიდდი, ვაგონში შევბრუნდი, თუმცა გონებაში პაიკაძე ამომიტივტივდა. „დაკავებული ვარ"! — გავიგონე მისი ხმა და უსიამოვნოდ შევიშმუშნე. ხმა მკვეთრად ჩამესმა, მიმოვიხედე კიდეც, პაიკაძე არსად ჩანდა. ვაგონში კამათის, სიცილის და გაზეთების შრიალის ხმა ირეოდა ერთმანეთში. ვიღაც ბიჭი ტრანზისტორს მართავდა და ამ ხმაურს დრო და დრო მუსიკის ჰანგებიც ერთვოდა. ვაგონს რომ ისევ მოვავლე თვალი, გული დამწყდა — ნაცნობთაგანი არავინ ჩანდა.
„ამდენ ხალხში ერთი ნაცნობიც რომ არ გყავს, სად მიეხეტები?" — გამიელვა ფიქრმა.
„ცხოვრება ერთი ციცქნა მარცვალშია, ჩვენ კი გამომცხვარ პურში ვეძებთ მას".
„ზვავს ვინ შეაკავებს თითის მიბჯენით?"



„ის ხალხი გამგები და გამტანია, შვილო".

ელმავალმა გაბმით დაუსტვინა და თვლების ხმაურზე მივხვდი, რომ ისრები გადაკვეთა მატარებელმა.

„ტრანზისტორივითაა კაცი" — აღმოვაჩინე მე.

„იმ მთვლემარე კაცს რომ ვიცნობდე, მივიდოდი და რაიმე ამბავს მოვუყვებოდი, ან იმ გოგოებს ჩავერეოდი კამათში, მეორე სკამზე რომ სხედან, ან..."

მეტი აღარ შემეძლო უძრავად ყოფნა. მთელი ჩემი არსება მოძრაობდა, სადღაც მეწეოდა, მიმაქანებდა და მიკვირდა, რომ ერთ ადგილზე ვიდექი. გაუბედავად გადავდგი ნაბიჯი, მერე მეორედ, მესამედ და ვაგონის ბოლოში ამოვყავი თავი. ხანშიშესულ მამაკაცებს იღლიაში ამოეჩარათ დაკეცილი გაზეთები და რომელიღაც პრეზიდენტის თუ პოლიტიკოსის მოგზაურობის მნიშვნელობას არკვევდნენ. დერეფანში გავედი. იქ ბიჭები იდგნენ, თამბაქოს აბოლებდნენ და წინადღის ფეხბურთის მატჩს აანალიზებდნენ. ბიჭებში რეზო იდგა. კარგახანს ვერ შემამჩნია და დავუძახე.

— აჰ, ვაჟა! — თქვა და ხელი გამომიწოდა. — მოდი, ვაგონში შევიდეთ, რაღაც უნდა გითხრა.

უხალისოდ ავედევნე, ვიცოდი მისაყვედურებდა, იმ დღეს კომიტეტში მისვლის მაგივრად მამაჩემთან რომ გავიქეცი. ბიჭებიც გაბრაზებული იქნებოდნენ.

რეზომ თავისუფალი ადგილი შეარჩია და დაჯდა.

— შესვენებაზე, — დაიწყო მან. — ბიჭები...

— ვიცი. — შევაწყვეტინე მე.

არაფერიც არ იციო, ხელით მანიშნა.

— მომცვივდნენ ბიჭები, თუ იცი სად არის ის ბედოვლათიო, ასე და ასეო, შესვენებაზე კომიტეტში უნდა შევხვედროდით ერთმანეთსო, ავთოს ვერ ვაკავებდით, თქვენ თუ არ წამომყვებით, მე მივალ და ყველაფერს მოვახსენებ კომიტეტშიო. მივედით და მოვახსენეთ. გადაირია მდივანი — ეს როგორო, ქარხანაში თუ ასეთი ამბები ხდება, სადა ხართ აქამდეო. დაიბარა პაიკაძე, როგორ ფიქრობ? — კაციშვილმა ვერ გაიგო, ქვესკნელში ჩაძვრა თუ ზეცაში აფრინდა. მერე მდივანმა გვითხრა; რაციონალიზატორული წინადადებების ავტორმა წერილობით ამიწეროს საქმის ვითარებაო. ვუთხარით, რომ შენ აუცილებელ საქმეებზე ბძანდებოდი წასული.

რეზოს სიტყვები აღარ მესმოდა. ვცადე, ბიჭები წარმომედგინა მდივნის კაბინეტში; ავთო ჩვეულებისამებრ აღგზნებული იქნებოდა; აზიზა დინჯად, მაგრამ დამცინავი ღიმილით; იუზა თვალებმოჭუტული; ალექსი წინ დაწყობილი ხელებით, პირმოკუმული და საყვედურებით სავსე თვალებით; ვიტალი იმედიანი გამომეტყველებით; რეზო? იგი თვალწინ მედგა და ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე, როგორი გამომეტყველება ექნებოდა მას, ალბათ ჩვეულებრივი — უდარდელი და ღიმმორეული.

— ჯაბა იაქაშვილი უნდა გენახა. — განაგრძობდა რეზო. — ალბათ, გაიგო მდივანთან რომ ვიყავით, საამქროში ყველას ერთსა და იმავეს უმეორებდა;—ადრევე მივხვდი, ის ბიჭი ნიჭიერი რომ იყოვო. ის რომ ქლესა და თვალთმაქცია, ყველამ იცის, მაგრამ ვერავინ ვერ მიხვდა, რამ გამოცვალა ისე უცბად.

— კარგი ერთი. — გავიცინე მე და მომეჩვენა, რომ მთელი ვაგონი ამყვა: მთვლემარე კაციც, მოკამათე გოგოებიც, პოლიტიკაზე მობაასე მამაკაცებიც და ფეხბურთის მოყვარული ბიჭებიც.

— ჰო, მართლა, იცი ვინ გკითხა? „ნათესავიაო". მე რას გამომაპარებთ? — არაფერი მითქვამს.

ტრანზისტორიან ბიჭს მხიარული ტალღა დაეჭირა და ირგვლივ მუსიკის საამო ჰანგები იღვრებოდა.

— ჩემს საიდუმლოებაში კარგად ჰყოფდი ცხვირს? — არ მეშვებოდა რეზო. — საშვის ბიუროს გოგონა ჩვენს ლაბორატორიაში გადმოვიდა. მე ვფიქრობ, ეს შენი დამსახურებაა.

ფანჯრის მინა ჩამოვწიე და გახურებული შუბლი ნიავს მივუშვირე. ვაგონში თვლების ხმაური შემოიჭრა, საერთო სიცილში და მუსიკის ჰანგებში აითქვიფა და აავსო სივრცე. მატარებელი ნაპერწკლების ფრქვევით მიისწრაფოდა იალღუჯის მთაზე გადმომდგარი მზისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**როგორ ეხმაურებიან ხუცუბნისა და ჭყვიავის მშრომელთა მონოდებას**

# ფაბრიკის გასაჭირი და წყნეთელების საზრუნავი

ამ ათიოდე წლის წინ წყნეთელებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს მთავრობას გაეხსნათ მათთვის საწარმო, რომ სახელმწიფოსათვის სასარგებლო შრომა თავიანთ მიწაზე, კურორტ წყნეთში დაეწყოთ. მათი თხოვნა დაკმაყოფილდა. 1962 წელს წყნეთში ამუშავდა სამკერვალო ფაბრიკა, რომელსაც დაეკისრა ბავშვის ზედა ტანსაცმლის დამზადება. საყურადღებოა, რომ რესპუბლიკაში მხოლოდ წყნეთში მზადდება მოსწავლის ფორმები. ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები ყოველწლიურად ზრდიან ტანსაცმლის ასორტიმენტს, აუმჯობესებენ მის ხარისხს, არჩევენ უფრო მხიარული, მიმზიდველი ფერის ქსოვილებს, ალამაზებენ ტანსაცმელს აპლიკაციებით, ღილებით, ნაქარგებით და მიაღწიეს იმას, რომ დღეს ჩვენს მაღაზიებთან რიგი იმართება მათი ნაწარმის გამოჩენისას, დახლებზე ვერ შეხვდებით გაუსაღებელ საბავშვო კოსტუმებს წყნეთის ფაბრიკის იარლიყით, და არა თუ საქართველოში, სხვა მოძმე რესპუბლიკებშიც მოიპოვა პოპულარობა დაბა წყნეთის ფაბრიკის პროდუქციამ.

გასულ წელს წყნეთის სამკერვალო ფაბრიკა რესპუბლიკაში მესამე ადგილზე გამოვიდა თავისი მიღწევებით, წელს კი მეორე ადგილზე გადმოინაცვლა და მხოლოდ ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკას ჩამორჩება. გასულ წელს რეალიზაციის გეგმა 15 დეკემბრისათვის შესრულდა, გეგმის ზევით კი რეალიზებული იყო 268 ათასი მანეთის პროდუქცია. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა თვითღირებულება. წარმოებამ 1.308 ათასი მანეთის მოგება მიიღო.

მაგრამ ფაბრიკას ძალიან უჭირდა მუშახელი და ეს წარმატებები დიდი, დაძაბული შრომით იქნა მოპოვებული.

წელს მკერავებს ახალი ვალდებულებები აქვთ აღებული. მთელს ფაბრიკაში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება, ეჯიბრებიან ერთმანეთს საამქროები, ბრიგადები, აგრეგატები, მუშები. ყოველთვიურად ვლინდება შეჯიბრებაში გამარჯვებულნი. მათ ახალისებენ, აჯილდოვებენ, აძლევენ პრემიას, მათ მაგალითზე მსჯელობენ.

წელს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების საწარმოო გეგმა ფაბრიკამ 26 დეკემბრისათვის უნდა შეასრულოს და წლის ბოლოსათვის გეგმის ზევით 95 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვას. მათ შორის იქნება: 2.000 ცალი გოგონების ფორმის კაბა, 3.000 ცალი სკოლამდელი ასაკის ბიჭის კოსტუმი, 1 200 ცალი ქვედატანი პლისე, 1 000 ცალი გოგონების ჩვეულებრივი კაბა. 1 000 ცალი გოგონების ფორმის წინსაფარი. გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, შემცირდება თვითღირებულება, სახელმწიფოს მისცემენ ზეგეგმიურ მოგებას. აამაღლებენ პროდუქციის ხარისხს, მიაღწევენ ქსოვილის მაქსიმა-

ლურ ეკონომიას. დანერგავენ 80 ახალ მოდელს. ხარისხის ნიშანზე წარადგენენ 2 მოდელს, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიიღებენ 12 ათასი მანეთის ეკონომიას, უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, გააჩაღებენ ბრძოლას ფაბრიკაში „საუკეთესო მუშის წოდების“ მინიჭებისათვის, წლის ბოლოს ექნებათ კომუნისტური შრომის 1 საამქრო. ეყოლებათ 800 კომუნისტური შრომის დამკვრელი და 12 კომუნისტური შრომის ბრიგადა.

მაგრამ ფაბრიკას გაუჭირდება ამ ვალდებულებების შესრულება, თუ არ ეყოლება საკმაო მუშახელი.

პოპულარობით სარგებლობს წყნეთში შეკერილი ბავშვის ზედა ტანსაცმელი. გასულ წელს ბიჭუნების კოსტუმების სამმა მოდელმა ხარისხის ნიშანი მიიღო და ახლა ეს კოსტუმები მასობრივად მზადდება. წელსაც, თბილისის მოდელების სახლთან თანამშრომლობით, შექმნეს გოგონების და ბიჭუნების ტანსაცმლის ახალი მოდელები ხარისხის ნიშანზე წარსადგენად. მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობია: მასობრივი წარმოების ტანსაცმლის ნაწილი უხარისხოა, არასწორად არის შესრულებული კერვის ზოგიერთი ოპერაცია, ან სახელოა ცუდად მიკერებული, ან საყელო და ა. შ. ამ დროს წუნმდებელი გადამწყვეტ ფიგურას უნდა წარმოადგენდეს და მისი გამოჩენა რაზმავდეს ყველა მუშას, იგი უნდა მიუყვებოდეს კერვის ყველა ოპერაციას, იდგეს უშუალოდ აგრეგატთან და არ ელოდებოდეს დღის ბოლოს, როცა დაგროვილი მზა პროდუქცია ელვისსისწრაფით გაივლის მის ხელში და დაიკრავს ხარისხის შტამპს (რა თქმა უნდა, უხარისხო ნაწარმი ხარისხიანად საღდება ასეთ შემთხვევაში).

სამწუხაროდ, წუნმდებელი ზოგჯერ უგულისყურობას იჩენს, სამუშაო საათებს პირად საქმეებს ახმარს. იქნებ ამის მიზეზი მისი დაბალი ხელფასია?

საწარმოში წუნმდებლის შრომა სათანადოდ უნდა დაფასდეს, დაენიშნოს ისეთი ანაზღაურება, რომ შემდეგ მკაცრად მოეთხოვოს დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

ფაბრიკის ხელმძღვანელობა ცდილობს გააუმჯობესოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები. სპეციალისტები თბილისელები არიან და ტრანსპორტის მიზეზით ხშირად აგვიანდებათ სამსახურში. მათთვის რომ ერთი ავტობუსი იყოს გამოყოფილი, დამოკიდებული აღარ იქნებოდნენ კურორტის ტრანსპორტზე, რომელიც ზაფხულობით ძალზე გადატვირთულია.

ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის საცხოვრებელი ბინის ასაშენებლად კარგა ხანია თხოულობს ფაბრიკა მიწის ნაკვეთს თბილისში, მაგრამ ეს თხოვნა ჯერჯერობით უყურადღებოდ რჩება.

საერთოდ კი, ფაბრიკამ მის წინაშე დასახული ამოცანები რომ შეასრულოს, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო მეტად უნდა ეხმარებოდეს.

ძირითადი ხელშემშლელი მუშაობაში კი მაინც მუშების ნაკლებობაა. დაარსების დღიდან განიცდის წყნეთის სამკერვალო ფაბრიკა ამ გასაჭირს. მუშების უმრავლესობა თბილისის ახლომახლო სოფლებიდანაა ჩამოსული. მათ არა აქვთ ბინა, არა აქვთ სხვა აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობები, ამიტომ ტოვებენ წყნეთს და ბრუნდებიან უკან.

როგორც ფაბრიკის დირექტორმა ნოდარ ყანჩაველმა განაცხადა, ფაბრიკას კიდევ 100-მდე მუშა სჭირდება.

წყნეთში 900-მდე კომლი ცხოვრობს. ფაბრიკაში 500 მუშა მუშაობს და აქედან 200-იც არ არის წყნეთელი. აქაური ქალები შინ სხედან და ერთი საზრუნავი გასჩენიათ — ქილა მაწონი 50 კაპიკად იყიდება თბილისში და მაწვნის დამზადება-გასაღებაზე ფიქრობენ.

გულდაგულ დამზადებული მაწონი დილით საკუთარი „ვოლგით“ ჩამოაქვს ზოგიერთ წყნეთელს ქალაქში. გაყიდვაში ოჯახის დიასახლისიც მონაწილეობს, აი რატომ არ სცალიათ წყნეთელ ქალებს.

მათ ზაფხულობით სპეკულაციის უფრო ფართო ასპარეზი აქვთ — ზღაპრულ ფასად აქირავებენ ბინებს წყნეთში. ამოსულ დამსვენებლებს კი თვალის მიდევნება სჭირდებათ და ამიტომ შინ ჯდომას არჩევენ ქალები.

რა ქნას ფაბრიკამ?

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში კარგა ხანია დამკვიდრდა ახლებური დამოკიდებულება შრომისა და ყოფაცხოვრებისადმი. ხუცუბნელთა და ტყვიაველთა მოწოდება — ებრძოლონ სპეკულაციას, უსაქმურობას, მომხვეჭელობას, კარგა ხანია აიტაცეს სხვებმა და ცხოვრებაში გაატარეს. წყნეთელებს ამის მსგავსი არაფერი ეტყობათ.

განა არ შეიძლება წყნეთში გაიხსნას მიმღები პუნქტი, სადაც რძეს ჩააბარებდა მოსახლეობა?

განა არ შეიძლება დამკვიდრდეს კონტროლი გასაქირავებელი ბინების ფასზე?

მაშინ აღარ იქნება სპეკულაცია, მაშინ მოსახლეობა დაინტერესდება პატიოსანი შრომით, მაშინ ფაბრიკასაც ეყოლება მუშები.

ახლა კი ფულის იოლად შოვნის სურვილს ჩამოჰყავს წყნეთელები თბილისში. აბა, ჩამოიარეთ თბილისის საავადმყოფოები, რამდენ წყნეთელ კარისკაცს ნახავთ ალაყაფის კარებთან! მათ რომ ხალხი ფულს არ აძლევდეს, ისინი მეორე დღესვე დასტოვებდნენ თბილისს.

...წყნეთის სამკერვალო ფაბრიკას დიდი ამოცანები აკისრია და მათ შესასრულებლად პატიოსანი, მშრომელი ხალხი სჭირდება. ეს შევსება ფაბრიკამ წყნეთისაგან უნდა მიიღოს.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი კურორტიდან

# უზბეკური ფლავი

ჩამოსულ სტუმრებს ყველაზე მეტად სასადილოებისა და მაღაზიის მუშაკები უქმნიან წარმოდგენას თავიანთ მხარეზე. უგემური კერძი ან ანგარიშის დროს დაშვებული შეცდომა სახელს უტეხს მთელ ერს.

გაგრის სანაპიროს სასადილოების გაერთიანების დირექტორი ნატრული გეგეჭკორი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს. მას აბარია სამი სკოლის სასაუზმე, ორი მეორე კატეგორიისა და ორი მუშათა სასადილო. ნატრული ყოველ დილას ამოწმებს თანამშრომელთა პირად ჰიგიენას, ჭურჭელს, პროდუქტებს, კერძებს. თუ კერძი გემრიელი არ არის, მას მეორეთი ცვლიან. მოსამსახურე პერსონალი უაღრესი თავაზიანობით გამოირჩევა. საწუნდებლო წიგნში, სადაც ყოველდღიურად იწერება კერძების ხარისხის შესახებ, ვერ ნახავთ სამდურავს.

განსაკუთრებით ხალხმრავლობაა № 5 სასადილოში საკურორტო სეზონის დროს. მოდიან დამსვენებლები, ტურისტები, უცხოელი სტუმრებიც კი და კმაყოფილნი რჩებიან გაწეული მასპინძლობით.

ერთხელ უზბეკები ეწვივნენ სასადილოს.

— ფლავს არ ამზადებთ? — იკითხა ერთერთმა მათგანმა საუზმის დროს.

— თუ კი გსურთ, სადილად დაგახვედრებთ, ოღონდ გვითხარით, როგორი წესით ხარშავთ? — უპასუხა ნატრული გეგეჭკორმა.

უზბეკმა ასწავლა ახალგაზრდა შეფმზარეულს ეთერ ხვიბლიანს თავიანთებური ფლავის მოხარშვა.

სადილზე უზბეკები ფლავს შეექცეოდნენ და თან ხელოვნებას უქებდნენ მზარეულებს. ასეთი გემრიელი ფლავი ტაშკენტშიც არ გვიჭამიაო.

სასადილოში დიეტური კერძებიც მზადდება და მაქსიმალურად აკმაყოფილებს დამსვენებელთა მოთხოვნებს.

გეგმების ყოველთვიურად გადაჭარბებით შესრულებისათვის № 5 სასადილოს მუშაკები გარდამავალ დროშას ფლობენ. მზარეულებს და მიმტანებს კი გეგმის შესრულებისას დამატებით ეძლევათ ხელფასის 40 პროცენტი, ესენი არიან: შეფმზარეული ეთერ ხვიბლიანი, სადილების გამცემი მაგნეტა ტარკილი, აფხაზური სკოლის სასადილოს მზარეული ლიდა შელია და სხვები.

გაგრის კურორტვაჭრობის დირექტორის მოადგილე მიმოზა ფირცხალავა ყველაფერს აკეთებს სასადილოების შეუფერხებელი მუშაობისათვის.

ელისო ბილანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახსოვა

1962 წელს, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ივნისის ნომერში ალექსანდრე ბურთიკაშვილის წერილი გამოქვეყნდა. წერილს სადა სათაური ჰქონდა. „ელენე სიბილა“, მაგრამ. ამ სისადავეში ჩანდა სწორედ პოპულარობა მსახიობი ქალისა. ელენე სიბილა მაყურებლისთვის ნიშნავდა ეშხს, სიკასკასეს, მომაჯადოებელ არტისტულობას.

მისი სცენაზე გამოჩენა გაზაფხულს ჰგავსო — წერდა პოეტი იოსებ გრიშაშვილი...

იმ წელიწადს პირველად მოვიდა რედაქციაში ელენე სიბილა. ტანმორჩილი ქალი, დიდი ჭკვიანი თვალებითა და რაღაც სევდიანი ლირიზმით. ის სევდა გასაგები გახდა, როდესაც შევიტყვეთ, რომ მას დედისერთა ვაჟი ფრონტზე დაღუპოდა. ჩვენ ვიხსენებდით სიბილასეულ როლებს, ვეკითხებოდით, ვმსჯელობდით თეატრზე და მისი თვალები ელვარებდა. განსაკუთრებული გრძნობით და გულისტკივილით ლაპარაკობდა ელენე სიბილა დიდ რეჟისორზე — კოტე მარჯანიშვილზე. „მას რომ ეცოცხლა...“ და ამ ფრაზაში ჩანდა მოწაფის უსაზღვრო სიყვარული მოძღვრისადმი. „რა იყო, სულ სამი წელი ვმუშაობდი მასთან, ამ სამმა წელმა განვლო როგორც სიზმარმა, რომლის დავიწყება არასოდეს არ შეიძლება. არასოდეს დამავიწყდება უკანასკნელი გამომშვიდობება... „ჩემო ძვირფასო, დიდო მასწავლებელო! რა დამავიწყებს თქვენს სახეს, ან თვალებს, რომლებიც კაშკაშა მზესავით ბრწყინავდნენ... რა უნდა გეთქვათ ჩემთვის, რომ არ დამეჯერებინა“. იგონებს ელენე სიბილა...

წელს ელენე სიბილას დაბადების 70 წელი უსრულდება, მისი ახალგაზრდული, ჰაეროვანი არსება ვერ შეესწრო ამ ასაკს — 1970 წელს გარდაიცვალა. საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ელენე სიბილა — (ელენე ივანეს ასული მჭედლიშვილი) პატივისმცემლებმა საბოლოო გზამდე მიაცილეს. გააცილეს სიბილასეული მარიხი, დეზდემონა, ელენე, ევა ბერგი. იმ დღეებში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, თეატრალური საზოგადოება, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი გულისტკივილით იუწყებოდა მასთან განშორებას: „მას თანაბრად ეხერხებოდა როგორც დრამატული გმირი ქალების, ისე კომიკური სახასიათო პერსონაჟების განსახიერება. მისი როლები ყველას ხიბლავდა უშუალობით და მიმზიდველობით, უბრალოებითა და დამაჯერებლობით. მოხდენილი სცენური გარეგნობით, სასიამოვნო ტემბრის ხმით, მუსიკალობითა და პლასტიკურობით იგი ადვილად პოულობდა მაყურებელთა გულებში სათუთ სიმებს და ისინიც სიყვარულითა და პატივისცემით მოსავდნენ შესანიშნავ მსახიობს“.

წელს, რედაქციაში ელენე სიბილას მეუღლე, მსახიობი და რეჟისორი მიხეილ ჯულელი გვესტუმრა. მან თან მოიტანა ელენე სიბილას დანატოვარი ჩანაწერები, სათუთად აკინძული და დალაგებული. აი: „კოტეს გაცნობა“. „ესტრადა“, „1925-26 წელი ქ. ქუთაისში. საშა იმედაშვილის სეზონი“, „ქუთაისი. 23-24 წლები“, „სახალხო სახლი 1922-23 წლების სეზონი“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „პოლიკარპე კაკაბაძე“. „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „კ. მარჯანიშვილის უკანასკნელი სპექტაკლი „ოტელო“. ესაა მეტად საინტერესოდ, ცოცხლად დაწერილი მოგონებები. ვფიქრობთ, ქართული თეატრალური მემკვიდრეობით დაინტერესებული მკვლევარი ბევრ ახალსა და საჭირო მასალას იპოვის ამ მოგონებებში, და იმასაც ვფიქრობთ, ამ მოგონებების დასტამბვით კარგი საქმე გაკეთდება. ჩანს თავის როლთაგან ელენე სიბილას განსაკუთრებით უყვარდა ევა ბერგი (ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“). ეს როლი მისთვის ძვირფას მოგონებასთანაცაა დაკავშირებული: სპექტაკლის გარჩევისას კოტე მარჯანიშვილი მთელ დასს მიუბრუნდა თურმე — „გთხოვთ, ტაში დაუკრათ, ამხანაგებო, ეს გამარჯვება სიბილამ თავის უნარით და პასუხისმგებლობით მოიპოვა“.

„როდესაც ევა ბერგს ვთამაშობდი, —წერა სიბილა,— ტანგოს სხვა ცეკვავდა. მაგრამ, არ ვიცი რა მოხდა, ავად გახდა თუ თეატრიდან წავიდა, ნამდვილად ვერ გეტყვით. მხოლოდ სპექტაკლში ევასაც ვთამაშობდი და

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარცხნიდან:
ელენე სიბილა,
ნინო ჩხეიძე,
თამარ აბაშიძე.

თან ტანგოსაც ვცეკვავდი. ბოლო მოქმედებისათვის ისევ ევას გრიმი უნდა გამეკეთებინა და ტანსაცმელი გამომეცვალა. ეს ფიზიკურად არც ისე ადვილი იყო, ვინაიდან ცეკვის შემდეგ რამოდენიმე წუთი კულისებში გაუნძრევლად ვიწექი, ცეკვა მეტად რთული იყო. ვინ დაეძებდა გაშმაგებულ გულის ძგერას! გული ვერ იტევდა სიხარულს. თითქოს მეუბნებოდა: „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

წელს ეს გული 70 წლისა უნდა გამხდარიყო.

**ნაზი კილასონია**



ელენე — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.

ოთარ შალამბერიძე

## მოპაჭიქება

ჩემში უჩემოდ ილვენთება შემოდგომის დღე.
ტოტი ანთია თუ ქალიშვილს უხურს ლაწვები...
ჩემმა ასაკმა რახანია თოვლი მოისხა,
თოვლის სიმწიფეს ალსასრულის ჰქვია დაწყება.
ჩემში უჩემოდ მოიდრიკა შემოდგომის დღე —
თრთის, იძაბება მოლოდინი მოზიდულ მშვილდის...
ჩემმა ასაკმა ფერფლისფერი თოვლი მოისხა,
ხოლო გარემო ძველებურად მშვიდია, მშვიდი...
ჩემში თავის თავს აკვირდება შემოდგომის დღე,
სულის სარკეზე ჭიაფერი ქანაობს ტოტი...
ჩემმა ცხოვრებამ ნაღვლიანი თოვლი მოისხა,
მოდი, ძვირფასო, ჩემს გაძარცულ ბაღნარში მოდი!..

## მე მიყვარს

მე მიყვარს, როცა გიყურებ...
როცა
ნამიანია ბაგენი შენი.
და მიყვარს, როცა იხუმრებ...
როცა
დათქმულ ადგილას ამაოდ გელი.
მე მიყვარს, როცა ციმციმებ...
როცა
უბეში მალავ კამკამა ვარსკვლავს.
და მიყვარს შენი სიმწიფე...
როცა
ხშირად გიშლიან შინიდან გასვლას.
მე მიყვარს, როცა კარგი ხარ...
როცა
ნაღვლიანია თვალები შენი.
და მიყვარს, როცა სხვა გიყვარს...
როცა
ამ გზით ტკივილებს ვერაფერს შველი.
მე მიყვარს, როცა თავს დახრი...
როცა
ვერ იმორჩილებ ფიქრის იალქანს.
და მიყვარს შენი ასაკი...
როცა
შეთვალულ მტევანს იგი მიაგავს.
მე მიყვარს, როცა იანცებ...
როცა
სიანცე ლაწვებს აგიწვავს ხოლმე.
და მიყვარს შენი სინაზე...
როცა
მასში ზეიმობს ქალური ღონე.
მე მიყვარს, როცა ახლო ვარ...
როცა
ახლო ვარ იმ ჩემს სანუკვარ დროსთან
და მიყვარს შენი თანხმობა...
როცა
ვერ შეგეძლება წუთითაც მოცდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როცა ეთერი მღერის

სულ რამდენჯერმე მოასწრო ფილარმონიის ესტრადაზე გამოსვლა თავისი საყვარელი ფანდურით, რომ დიდი სამამულო ომიც დაიწყო. სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა მისი მეუღლეც. წავიდა ფრონტზე და აღარც დაბრუნებულა. ახლა უფრო მეტის მგზნებარებით უმღეროდა ეთერი საბჭოთა მებრძოლებს. მღეროდა ქართულ ხალხურ სიმღერებს. სამხედრო ნაწილიდან ჰოსპიტალში მიდიოდა, ჰოსპიტლიდან — მეზღვაურებთან, მესაზღვრეებთან. შინ კი მოუთმენლად ელოდა პატარა გოგონა, რომელმაც ორი სიტყვა იცოდა: „დედა მოვიდა“.

მოვიდა გამარჯვება. დადგა შემოქმედების, აღორძინების, წინსვლის დრო. და ეთერ კაცობაშვილის რეპერტუარიც შეივსო; გაჩნდა ახალი სიმღერები, ქართველი კომპოზიტორების შესანიშნავი ნაწარმოებები. ამ წლებში ფილარმონიასთან შეიქმნა ქართული ჯაზ-ორკესტრი ქეთო ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ეთერ კაცობაშვილი კომპოზიტორ ნ. გუდიაშვილის „ქართულ ფანტაზიაში“ (დადგმა ჯანო ბაგრატიონისა) მიიწვიეს სოლისტად. აქ შეასრულა მან „სად ხარ, ჩემო თმახუჭუჭა“ და „სად წამიხვალ“. ამავე დროს, ეთერმა ფანდურზე თავად დაამუშავა სიმღერები: „შემომღიღინე, ჩონგურო“, (ლექსი ვაჟა-ფშაველასი), „ქალაუ, შენი თვალები“, „საქართველო“. მას შემდეგ არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, სადაც ეთერ კაცობაშვილს არ ემღეროს: „არ დაიდარდო, დედაო“, „თბილისო“, „სიმღერა შრომის გმირზე“, „დაიგვიანეს“, „ციცინათელა“, „მწყემსური“... ამ სიმღერებით ესტუმრა ეთერი რუსეთის თვალუწვდენელ ველებსაც, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც.

ეთერი არასოდეს არ ივიწყებს იმ სითბოს, რითაც შეხვდნენ საინგილოში — ბელაქანში, ზაქათალაში... ბოლო კონცერტი ერეკლესეულ სასახლეში გამართეს და ღამეც იქ გაათიეს ფილარმონიის მსახიობებმა. წამოსვლისას, ეთერმა ახალგაზრდა ინგილოებს თავისი განუშორებელი ფანდური აჩუქა, თანაც შეპირდა — თქვენ რახან ასე გინდათ ფანდურზე ლექსების დამღერება, დარდი ნუ გაქვთ, ფანდურს კიდევ გამოგიგზავნითო, და მეორედ სტუმრობისას, მართლაც შეუსრულა დანაპირები...

ეთერ კაცობაშვილი ხშირად მიდის კასპიისპირეთში, ზამთრის საძოვრებზე. ზოგჯერ დოლის დროს, მწყემსებს პირდაპირ ადგილზევე უტარებს კონცერტს. მწყემსებს განსაკუთრებულად უყვართ ფანდური. ყიზლარში მადლიერმა მწყემსებმა მომღერალ ქალს მხრებზე ნაბადი წამოასხეს, თავზე ფაფახი დაახურეს და ასე გამოისტუმრეს.

ეროხანს დუდუკებზედაც სცადა სიმღერა. ჯერ ტალგაუკოვის მედუდუკეთა ანსამბლში, მერე გიორგი ქსოვრელის დასტაში, „სოინარში“. აქ განსაკუთრებულად გამოჩნდა მისი ხმის ხავერდოვნება: „მოვიდა ლექსითა, წავიდა კვნესითა, საიათნოვა“ — ამოიმღერა და გული თან ამოატანა თითქოს. აქ იმღერა ია კარგარეთელის „შევიშრობ ცრემლსა“.

ერთხელ ეთერ კაცობაშვილს შეეკითხნენ: რამდენი კონცერტი გექნებათ ჩატარებულიო? მაგას ვინ დაითვლისო? — თქვა სიცილით.

და ამის მართლაც დაუთვლელი საბუთები აქვს: მადლობები, საპატიო სიგელები, სამკერდე ნიშნები რესპუბლიკურსა თუ საკავშირო საშეფო კონცერტებში აქტიური მონაწილეობისათვის, მაღალმხატვრული საშემსრულებლო ოსტატობისათვის, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებში გამოსვლებისათვის...

ეთერ კაცობაშვილმა ბევრ ყმაწვილს შეაყვარა თავისი ხელოვნება. იგი ხომ 1959 წლიდან თბილისის 65-ე საშუალო სკოლაში მასწავლებლად მუშაობს.

როდესაც ეთერ კაცობაშვილის სიმღერებს ისმენ, აუცილებლად გაგახსენდებათ გიორგი ლეონიძის სიტყვები: როცა ეთერი მღერის ქართულ ხალხურ სიმღერებს, თითქოს ჩვენი სამშობლოს ბალჩა-ბაღებისა და მინდვრების შრიალი მესმისო.

**მარგო თოფაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარ ხიდაშელი

იგი სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის გამგედ მუშაობს. ამ ლაბორატორიაში მოვიდა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, როგორც ლაბორანტი.

სამამულო ომის წლებში თამარ ხიდაშელი სხვადასხვა სამუშაო უბნებს ხელმძღვანელობდა და ამით მტერზე გამარჯვებას სჭედდა. ომის შემდეგ კვლავ ლაბორატორიას დაუბრუნდა, ისევ ჩამოსხმულ ლითონს ჩაჰკირკიტებდა, აკეთებდა ქიმიურ ანალიზს, ადგენდა მის შემადგენლობას. მაღალხარისხოვანი ლითონით ვაგონებისა და ორთქლმავლების შეკეთება კი უზადო მუშაობის საწინდარია.

ახალგაზრდა სპეციალისტმა ბევრი რამ ისწავლა თავისი ხელმძღვანელის, ცენტრალური ლაბორატორიის ყოფილი გამგის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, აწ განსვენებულ პეტრე პეტროსიანისაგან. ცოდნის გაღრმავების წყურვილმა, დიდმა შრომის უნარმა მას ხელი შეუწყო ქარხანაში დაენერგა თუთიის და ალუმინის ქიმიურად შეერთების მეთოდი, რაც პირველი მიღწევა იყო რესპუბლიკაში. მალე თამარ ხიდაშელის ავტორობით გამოიცა ბროშურა ამ ნაერთის შესახებ.

ნაყოფიერი მუშაობისათვის თამარ ხიდაშელს 1962 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის, ხოლო 1969 წელს—საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის წოდებანი.

შრომის დაფასებამ ენერგია გაუორკეცა თამარს. ცენტრალური ლაბორატორია, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, დღესაც პირნათლად ასრულებს თავის დიდ და პასუხსაგებ მოვალეობას — იბრძვის იმისათვის, რომ ამ უდიდესი ქარხნის პროდუქცია იყოს მაღალხარისხოვანი.

გ. სარჯველაძე





# ნინო უჩავა

## პირველი ქართველი მემანქანე ქალი

იგი ვლადივოსტოკის რკინიგზის დეპოში მუშაობდა, როცა პარტიამ მოწოდებით მიმართა ქალებს, წასულიყვნენ რკინიგზაზე მემანქანეებად. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის აღზრდილი, ახალგაზრდა ინჟინერი ნინო უჩავა ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ამ მოწოდებას და ყაზახეთში, ჯამბულ-ტიულ-კუბას დეპოში დაიწყო მემანქანედ მუშაობა. ნინო ატარებდა მძიმეწონიან მატარებელს, რომელსაც ქალთა ბრიგადა ემსახურებოდა (მემანქანის გარდა, თანაშემწეც და ცეცხლფარეშიც ქალები იყვნენ). ბრიგადის წევრები იბრძოდნენ სისწრაფის გაზრდისათვის, დროის და საწვავის ეკონომიისათვის და წარმატებასაც აღწევდნენ. ამიტომაც დააჯილდოვეს ლენინის ორდენით 1939 წელს თურქესტან-ციმბირის მაგისტრალზე მავალი მძიმეწონიანი შემადგენლობის მემანქანე ნინო ალექსანდრეს ასული უჩავა.

ფოლადის მაგისტრალების მრავალათასოვან მუშაკთა შორის ნინოს არაერთი მიმბაძველი გაუჩნდა. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რამაც გაზარდა შრომის ნაყოფიერება და ათასობით მანეთის ეკონომია მისცა სახელმწიფოს.

1940 წელს ნინო საქართველოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო წევის ინჟინრად. სამამულო ომის წლებში იგი ემსახურებოდა მტერზე გამარჯვების საქმეს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მწყობრიდან გამოსული რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენაში.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ნინო უჩავა ამიერკავკასიის რკინიგზის სალოკომოტივო სამსახურის უფროსი ინჟინრის თანამდებობაზეა და დღესაც წარმატებით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

მერი როდე-ჩიჯავაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თომას ჰარდი

# ანდრი სატჩელი, მღვდელი და დიაკონი

მხატვარი დ. ერისთავი

ყოველივე ეს იმიტომ მოხდა, რომ ანდრი სატჩელს იმ დროს დალევა უყვარდა, თუმცა ამბობენ, ახლა აღარ სვამსო, მით უკეთესი. საცოლე ჯეინი ანდრიზე უხნესი იყო. ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენი წლით. ის ხომ ჩვენს მრევლს არ ეკუთვნოდა. ერთმანეთთანაც საქვეყნოდ კურკურებდნენ. ხნოვანებამა და ამ საჭოჭმანო გარემოებამ თუ აიძულა ქალი ჯვარის წერა დაეჩქარებინა, ვაი თუ სასიძომ გადაიფიქროსო. ნოემბრის ერთ დღესაც, ინათა თუ არა, ქალი ანდრისა, მაზლსა და რძალთან ერთად გაუდგა გზას ეკლესიისაკენ, რათა ბედი სამუდამოდ დაეკავშირებინა გულის სწორთან. მცხოვრებთ უკვე მოესწროთ ლოგინიდან წამოდგომა და ფანრების ქნევითა და ქუდების სროლით აცილებდნენ ანდრის.

ეკლესია, სადაც მათ ჯვარი უნდა დაეწერათ, მილზე მეტი მანძილით იყო დაშორებული ჯეინის შორეული ნათესავის სახლიდან, სადაც ქალი ბინად იდგა. მშვენიერი დღე გამოვიდა. ცერემონიალიდან შინ მობრუნებულებს, სიმარტოვე და მოწყენილობა-ღა ელოდათ. ამიტომაც გადაწყვიტეს პორტ ბრედში გამგზავრება — გემების, ზღვისა და ჯარისკაცების სანახავად.

ზოგიერთმა შენიშნა, ანდრის ეკლესიაში შესვლისას ფეხი ერეოდაო. საქმე ის იყო, რომ მან წინა დღით ახლო მეზობლის ბავშვი მონათლა და მთელი ღამე იქეიფა. ასე იფიქრა: ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, აღარასოდეს მეღირსება: ერთ დღეს ნათლია ვიყო, მეორე დღეს ქმარი, მესამე დღეს კი ვინ იცის, იქნებ, მამაც შევიქნე.

და მოდი, ღვთის ამ წყალობას ხელიდან ნუ გაუშვებო. მთელი ღამე არ უძინია და, როცა მეორე დილას ეკლესიაში საცოლესთან ერთად ჯვარის დასაწერად გამოცხადდა, ხუცესმა მკაცრად შეათვალიერა და უთხრა:

— ეგ როგორ მოგივიდა, შვილო ჩემო, ამ სიხხამ დილით უკვე ნასვამი ხარ. მრცხვენია შენს მაგივრად.

— სწორი ბრძანებაა. ოღონდ ჯავრი ნუ გაქვთ, სხვაზე ნაკლებად კი არ შემიძლია ცარცით გახაზულ სწორ ხაზზე გავლა, — უწყინარი ტონით მიუგო ანდრიმ, შემდეგ კი გაცხარდა:

— თქვენ, მამაო ბილი თუგუდ, მთელი ღამე ჩემსავით რომ გაგეთენებიათ, თავს მოსაჭრელად ვდებ, რომ საერთოდ ფეხზე დგომასაც ვერ შეძლებდით.

ასეთმა პასუხმა საკმაოდ გულფიცხი მღვდელი მოთმინებიდან გამოიყვანა: ,,ამ ყოფაში ჯვარს არ დაგწერ, ვერ ვიქმ ამას. წადი შინ და გამოფხიზლდიო'', — გადაჭრით განაცხადა მან და ამ სიტყვასთან ერთად დახურა წიგნი. ფოლიანტმა ხაფანგივით გაიღო რეჩხი.

პატარძალმა გულამოსკვნით მორთო ტირილი. შეშინდა, ამდენი წვალების შემდეგ ანდრი ხელიდან არ გამოსცლოდა და მღვდელს ემუდარებოდა, ჯვარი დაგვწერეო. ამაოდ.

— მე ვერ გავხდები მთვრალ კაცთან შენი შეუღლების მოწამე, ვერ ჩავიდენ ასეთ უმართებულო და ულირს საქციელს. მართალია, მეცოდები, ასეთ დღეში რომ გხედავ, მაგრამ უმჯობესია, შინ დაბრუნდე. მიკვირს, როგორ მოგივიდა თავში ნასვამი კაცის აქ მოყვანა.

— აბა, ფხიზელი ხომ სულ არ მოგეკარებოდათ ახლოს, — სლუკუნით მიუგო ქალმა.

— ვერაფერში დაგეხმარებით, — თქვა მღვდელმა და, მიუხედავად ჯეინის დაჟინებული თხოვნისა, არაფრით არ მოლბა. მაშინ ქალმა სხვა ხერხს მიმართა: — წაბრძანდით სახლში,- ჩვენ კი, თქვენი ნებართვით, აქ დავრჩებით. თუ ერთ ან ორ საათში მობრუნდებით, პირობას გაძლევთ, ანდრი მოსამართლესავით ფხიზელი დაგხვდებათ. ხოლო თუ აქედან ჯვარდაუწერელი წავიდა, მაშინ ვან ჰამბურგის ცხენების რემაც ვერ მოაბრუნებს უკან, — შეაგონა მან ბილი თუგუდს.

— კარგი,—დაეთანხმა მღვდელი,—ორი საათის ვადა მომიცია. პირობას გაძლევთ, მოვბრუნდები.

— გეთაყვა, კარებიც ჩაგვიკეტეთ, რომ გაქცევა ვერ შევძლოთ.

— კეთილი.

— და ნურავის ეტყვით, რომ ჩვენ აქა ვართ.

მღვდელმა მოიხსნა ქათქათა ოლარი და წავიდა. მათ კი ამ განმარტოებულ ალაგას თათბირი გამართეს, როგორ შეენახათ ეს ამბავი საიდუმლოდ. ეს საქმე არც თუ ისე ძნელი მოსაგვარებელი იყო:

ანდრის ძმისა და რძლისათვის სულ ერთი იყო როგორ წარიმართებოდა ყველაფერი. ისედაც ძალისძალათი მოიყვანეს აქ, ამ სოროში და, ახლა კიდევ ორ საათს რაღა გააჩერებდათ. ლოგპუდელში სადილობამდე სურდათ დაბრუნება. იმდენი იჭირვეულეს, რომ ბოლოს დიაკონმა თქვა: ამათი წასვლა საქმეს არ შეაფერხებს. როცა მღვდელი დაბრუნდება, მოწმეთა მაგივრობას თავად მე და რომელიმე გამვლელი გავწევთო.

ამაზე შეთანხმდნენ. ანდრის ნათესავებმა დაუყოვნებლივ დასტოვეს იქაურობა და, ის იყო, დიაკონმაც კარის დაკეტვა დააპირა, რომ ამ დროს ნამტირალევი საპატარძლო შემოქაქანდა და წასჩურჩულა:

— ძვირფასო, ჩვენ რომ აქ დავრჩეთ, შესაძლოა, ხალხმა დაგვინახოს და შეიტყოს, რაც მოხდა. ატყდება ერთი მითქმა-მოთქმა და თავი მომეჭრება. თანაც, ვაითუ ანდრიმ გაქცევა სცადოს. თუ შეგიძლია, კოშკში გამოგვკეტე. ოღონდ ეს მოახერხე და ანდრის მე შევიტყუებ.

დიაკონს არაფერი ჰქონდა იმის საწინააღმდეგო, რომ საბრალო ყმაწვილი ქალისათვის სამსახური გაეწია. ანდრი კოშკში შეიტყუეს, დიაკონმა მაშინვე ჩაკეტა ისინი და მერე შინისაკენ გასწია. ორი საათის შემდეგ ხომ უკან უნდა მობრუნებულიყო!

მღვდელი თუგუდი ახლადმისული იყო სახლში, როცა ფანჯრიდან თვალი მოჰკრა წითელ ხალათსა და ჩექმებში გამოწყობილ მხედარს; უეცრივ გაახსენდა, რომ მისი სამრევლოს საზღვართან დღეს ნადირობა უნდა გამართულიყო. ხუცესი სპორტის მოყვარული გახლდათ. საეკლესიო დღესასწაულებისა და უქმეების გარდა, ყოველთვის ესწრებოდა ნადირობას და ახლაც ვერ გამოაკლდებოდა. მართალია, ღარიბი იყო, ძველი, გაცვეთილი ჩექმები ეცვა და შავ, ბებერ ბაჩზე იჯდა, მაგრამ, სულ ცოტა, სამი ათასი მელიის მოკვლა მაინც მოუსწრო. უცოლო კაცი იყო და ზაფხულის ღამეებში ოცნებობდა ზამთარზე და სულ მელიებზე ნადირობა აგონდებოდა, სკვაირთან ნათლობის შემდეგ გამართულ სადილზეც კი არ ავიწყდებოდა ხავშვის ხელმეორედ მონათვლა პორტვეინით.

დიაკონი მღვდლის მეჯინიბეც გახლდათ, მებაღეცა და მოურავიც. ახლაც ბაღში შეიხედა და, ის იყო, მუშაობას შეუდგა, რომ მანაც დაინახა სანადიროდ მიმავალი თავად-აზნაურობა, ძაღლები, მარეკი ჯიმ თრედმეჯი და კიდევ ბევრი ვინმე. მღვდლისა არ იყოს, დიაკონსაც გაგიჟებით უყვარდა ნადირობა. როცა თვალს მოკრავდა ძაღლების ხროვას, თავს ვეღარ ერეოდა და ქვეყნად ყველაფერი ავიწყდებოდა. ახლაც ბარი დააგდო და მღვდელთან შევარდა, გაფაციცებით რომ ემზადებოდა წასასვლელად.

— თქვენი ცხენი ბორგავს, სერ, და კარგი არ იქნება, რომ ერთი საათით მაინც გავატარო მინდორზე? — შეეკითხა ათრთოლებული დიაკონი.

— მართალს ამბობ, მე თვითონ შევჯდები, — უპასუხა მღვდელმა.

— თქვენ თვითონ? მაშინ იცით რა, მეორე ცხენი ფეთიანია: თავლაში მჟავდათ კარგა ხანს და არავის იკარებს,თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ჩემთვის შევკაზმავ.

— კეთილი, გამოიყვანე, — მიუგო მღვდელმა. მისთვის სულ ერთი იყო, რას მოიმოქმედებდა დიაკონი, ოღონდ სანადირო სამზადისში ხელი არ შეშლოდა. როგორც იქნა, ჩაიცვა ჩექმები, შარვალი და ცხენი მონადირეთა თავშესაყარისაკენ გააჭენა. იმ განზრახვით, რომ ერთ საათში უკან მობრუნებულიყო. როგორც კი მღვდელი თვალს მიეფარა, დიაკონიც მაშინვე მოაჯდა ცხენს და უკან გამოედევნა.

ბილი თუგუდი შეკრებულობას მიადგა, ბევრი მეგობარი ნახა და ძალიანაც გამხიარულდა. ძაღლებმა, აუშვეს თუ არა, წამხვე აიღეს გეში. ამან საყოველთაო აღტყინება გამოიწვია. ჩვენს მღვდელს სულ გადაავიწყდა თავისი პირობა და მონადირეებს ყამირზე გაჰყვა. ყამირი ლიპიტ ვუდსა და გრინ კოპსს შორის იყო მოქცეული. ცხენზე ამხედრებულმა მღვდელმა მოიხედა და თვალი მოავლო დიაკონს, კუდში რომ მიჰყვებოდა.

— ჰა, ჰა, შენც აქა ხარ?

— დიახ, სერ, აქ გახლავართ.

— მშვენიერი სანავარდოა ცხენებისათვის.

— ნამდვილად სერ, ჰი, ჰი, — ჩაიცინა დიაკონმაც.

თანდათან ღრმად შედიოდნენ მწვანე ველაში. შემდეგ ჰაიერ ჯინტონისაკენ გადაუხვიეს, ამ შარაგზით ვატერსსტონ რიჯის მიადგნენ. იქიდან კი იალბერი ვუდისაკენ აიღეს გეზი. ქარივით მიჰქროდნენ აღმართ-დაღმართ. დიაკონი მღვდელს მისდევდა, მღვდელი წინწასულ ძაღლებს. ასეთ ნადირობას არცერთი მათგანი არ მოსწრებოდა და მღვდელსაც და დიაკონსაც სულ გადაავიწყდათ კოშკში ჩაკეტილი საქორწილო წყვილი.

— თქვენს ცხენებს ვენება არგებს, სერ,—გადასძახა დიაკონმა მღვდელს, როცა გაუსწორდა.

— იღბლად მოგაფიქრდათ მათი ჰაერზე გამოყვანა, თორემ ერთ-ორ დღეში შეიძლება ყინვამ დაჰკრას, გზა გაისიპება და მთელი კვირეები ვეღარ დააღწევენ თავს საჯინიბოდან.

—ჰი, ჰი,—ჩაიხითხითა დიაკონმა და ეშმაკურად გახედა მღვდელს.

—ჰა, ჰა, —გაიცინა მღვდელმა და დიაკონისაკენ შემობრუნდა. უეცრივ საიდანღაც მელა გამოშვა.

— ჰალუ! — შესძახა ხუცესმა.

—ჰალუ! — დაიყვირა დიაკონმაც, — ეშმაკმა წამიღოს, თუ მრჩობლი არ იყოს.

—ჩუმად, ჩუმად, მეორედ აღარ გამაგონო ეგ სიტყვა. ნუ გავიწყდება, სასულიერო პირები ვართ.

—მართალია სერ, მართალი, მაგრამ ნადირობამ ისეთი გატაცება იცის, რომ სულ გადაგავიწყებს ზაღალ მოწოდებას.

დიაკონისა და მღვდლის ეშმაკურად მოჭუტული თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და დიაკონმა კვლავ ჩაიხითხითა — ჰი, ჰი.

— ჰა, ჰა, — გაიცინა მღვდელმაც

—ეჰ, სერ, — წამოიწყო დიაკონმა—ჩემი დღე[illegible]წრება და-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფრული გავიძახი, ,,აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე-მეთქი". განა ასე არ ჯობია?

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად.

ჭუთენია დაწყებული ნადირობა იმით დამთავრდა, რომ მელია შევარდა ერთი მოხუცი ქალის კოტეჯში, შეძვრა მაგიდის ქვეშ, მერე იქედან გამოხტა და კედლის საათს მიაფრინდა.

მღვდელი და დიაკონი პირველნი წაადგნენ მისიკვდილებულ მელიას. შინ დაბრუნების დროც მოვიდა, მაგრამ არც მღვდელმა და არც დიაკონმა არ იცოდა, როგორ გაეღწიათ აქედან. ცხენები მისავათებულნი იყვნენ. ასე დაქანცულნი გაუდგნენ გზას, სვენებსვენებით.

—ასე ვერასოდეს მივალთ შინ.—ამოიოხრა ქანცმილეულმა მისტერ თუგუდმა, რომელიც წელში ოთხად მოკაკულიყო.

—ვერასოდეს!—დაუმოწმა დიაკონმა,—ღმერთმა დაგვსაჯა ცოდვებისათვის.

— ვშიშობ, რომ ასეა, — წაიბუტბუტა მღვდელმა.

უკვე ბნელოდა, როდესაც ისინი თავიანთ სამრევლოში ქურდებივით შეიპარნენ, სრულებითაც არ სურდათ ცასა და ქვეყანას შეეტყო მათი დროსტარების ამბავი. საშინლად იყვნენ დაღლილნი, ცხენებიც მისახედი ჰყავდათ, ამიტომ სულაც არ გახსენებიათ გამომწყვდეული წყვილი. ცხენები თავლაში დააბეს და თივა დაუყარეს თუ არა, ორთავემ წაუძინა.

მეორე დილით, როცა მღვდელი თუგუდი საუზმობდა და სიამოვნებით იგონებდა გუშინდელ ბრწყინვალე ნადირობას, კარს გულამოვარდნილი დიაკონი მიადგა.

— უნდა შევაწუხოთ. ეს როგორ მოგვივიდა, უპატრონოდ რომ მივაგდეთ საქორწილოები?

მღვდელს ნახევრადგალეჭილი ლუკმა ტყვიანაკრავივით გამოუვარდა პირიდან.

— ღმერთო შენ შემიწყალე, — თქვა მან, — რა უხერხულია.

—ნამდვილად. სერ, შესაძლოა, ჩვენ დავღუპეთ კიდეც ის ქალი.

— აჰ, აჰ, ადრე უნდა დაგვეწერა ჯვარი.

—ვაითუ, რამე შეემთხვათ იმ კოშკში. იქ ხომ არც ექიმია და არც ბებია ქალი. როგორც ვატყობ, სასამართლო არ აგვცდება, ეკლესიის შელახვის გამო რომ არაფერი ვთქვათ.

—ღმერთო ჩემო. გადავირევი და ესაა. რა ეშმაკად არ დავწერე ჯვარი (იმ დროს მღვდლები, ერისკაცთა მსგავსად, ღვთის საგმობ სიტყვებს ხმარობდნენ). რა მესაქმებოდა, მთვრალი იყო თუ ფხიზელი? იყავი ეკლესიაში? მათი ამბავი თუ შეიტყვე? სოფელში ხომ არ გაგიკითხავს? — დააყარა დიაკონს კითხვები.

— არა, სერ, სულ ერთი წუთის წინ გამახსენდა. თქვენს უკითხავად მე ხომ არ ვერევი საეკლესიო საქმეებში. გონს მოგებული ისეთ დღეში ჩავვარდი, რომ სუსტი ნიავიც კი წამაქცევდა... მერწმუნეთ.

მღვდელი წამოხტა, საუზმე მიატოვა და ორივე ეკლესიისაკენ გაეშურა.

—იქ, ალბათ, აღარავინ დაგვიხვდება, — თქვა მისტერ თუგუდმა გზაში. — ნამდვილად შინ გაიქცეოდნენ.

საეგებიოდ შეაღეს ეკლესიის ჭიშკარი, შევიდნენ ეზოში, კოშკს ახედეს და სამრეკლოს ფანჯარაში დალანდეს თეთრი, მომცრო, მომლიმარე პირისახე. ეს პატარძალი გახლდათ.



— ღმერთო კი მომკალი, როგორღა უნდა შევხედო თვალებში, — თქვა მღვდელმა და ამ სიტყვებთან ერთად დაეშვა საფლავის ქვაზე. — რა კარგი იქნებოდა, კანონის მონა რომ არ ვყოფილიყავი.

— სამწუხაროა, რომ დაწყებული საქმე არ დავამთავრეთ, მაგრამ თქვენ ხომ სასულიერო წოდება გიბორკავდათ ხელ-ფეხს. ქალ-ვაჟი უნდა შეეგუოს ამას, — სცადა დიაკონმა ხუცესის გამართლება.

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად. კარგად გამოიყურება ქალი? ხომ არ შესცოდეს ნეტავ?

— მე მხოლოდ მის თავ-კისერს ვხედავ, სერ.

— როგორი სახე აქვს?

— გაფითრებული.

— მაშინ უარესს უნდა მოველოდეთ. ღმერთო ჩემო, როგორ მტკივა წელი. ცხენმა გამასავათა გუშინ. მოდი, მივხედოთ სალვთო საქმეს.

კოშკის კარი გააღეს თუ არა, ანდრი და მისი საცოლე ცარიელ განჯინაში ნაყურყუტევ დამშეულ თაგვებივით გამოცვივდნენ იქიდან. გამოფხიზლებული ანდრი მოფამფალებულიყო, გაფერმკრთალებული და შემცივნებული საცოლე კი სხვაფრივ ჩვეულებრივ გამოიყურებოდა.

—როგორ?—აღმოხდა მღვდელს და შვებით ამოისუნთქა,—მას შემდეგ თქვენ სულ აქა ხართ?

— დიახ, სერ, — მიუგო ღონემიხდილმა პატარძალმა და სკამზე ჩაიკეცა. — გამოსვლა არც გვიცდია. დაუხმარებლად მაინც ვერ გამოვაღწევდით კოშკიდან. პირში ლუკმა არ ჩაგვიდვია ამ ხნის განმავლობაში.

— კი, მაგრამ, ვერ მოუხმეთ ვინმეს? — იკითხა მღვდელმა.

— ამან არ დამანება, — მიუგო ანდრიმ.

—პირი გვქონდა შერცხვენილი,—ამოისლუკუნა ჯეინმა. —ჩვენი ამბავი რომ გახმაურებულიყო, მთელი სიცოცხლე თითით საჩვენებელნი ვიქნებოდით. ერთი ორჯერ ანდრიმ დააპირა კიდეც ზარის დარეკვა. ეს კი მითხრა: ჩვენი სახელის გატეხას შიმშილით სიკვდილი მირჩევნიაო. თქვენ, არ იქნა და არ გამოჩნდით. რა ძალა გვქონდა? ბოლოთას ვცემდით და ვიცდიდით.

—მეტად ვწუხვარ, — თქვა მღვდელმა, — მაგრამ ახლა სწრაფად მოვათავებთ საქმეს.

— ცოტა რამეს კი შევჭამდი, ლონეს მომცემდა, — ამოღერღა ანდრიმ.—პურის ქერქი და ხახვი მაინც იყოს. ლამის კუჭი გამიხმეს შიმშილისაგან.

—რახან ყველა აქა ვართ, უმჯობესია ახლავე მოვრჩეთ.—ჩაერია გაფაციცებული პატარძალი.

ანდრიმ ხელი ჩაიქნია საჭმელზე. დიაკონმა მეორე მოწმე მოიყვანა. სანდო კაცად თვლიდა.—არ იჭორავებსო და, სახელდახელოდ გადაწერეს ჯვარი. დამშვიდებული პატარძალი იღიმებოდა. ანდრი კი მთლად მოეშვა.

— ახლა, — მიმართა მათ მღვდელმა, — პირველ რიგში ჩემი სტუმრები ხართ. ჯერ კარგად დანაყრდით და მერე გაუდექით გზას.

ცოლ-ქმარი სიხარულით შეხვდა ამ წინადადებას. მღვდელი, დიაკონი და ახლადჯვარდაწერილნი სხვადასხვა კარით გავიდნენ ეკლესიიდან. ის იყო, თენდებოდა და არავის შეუმჩნევია. მღვდლის სახლში ისე შეაბიჯეს, გეგონებოდათ ახლა დაბრუნდნენ პორტ ბრედიდანო. მერე ჭამეს და სვეს, რამდენიც შეეძლოთ.

დიდმა დრომ განვლო, სანამ ხალხი შეიტყობდა მათ თავგადასავალს. მერე კი მაინც გაკრეს კბილი. ცოლ-ქმარს ამ ამბის გახსენებაზე დღესაც ეცინება.

ჯეინს ამდენი ცდისა და წვალების სანაცვლოდ ქმრად ერთი ბედოვლათი შერჩა ხელთ, ეს იყო მხოლოდ, რომ სახელი შეინარჩუნა.

ინგლისურიდან თარგმნეს

ედიშერ გიორგაძემ და არიან ჭანტურიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი აღმოჩენები

# პლასტიკის კონტაქტური ლინზები

თექვსმეტი წლის გილიომს ბედნიერი დღე გაუთენდა: ის კარგად ხედავს. ძველი სქელმინიანი სათვალე მას მხედველობას მხოლოდ ნახევრად აღუდგენდა. ახლა მან სათვალე კონტაქტური ლინზებით შეცვალა, რომლებიც 100-პროცენტიან მხედველობას იძლევიან. გილიომმა ერთმა პირველთაგანმა გამოიყენა ორი ფრანგი მეცნიერის — ოფტალმოლოგ პოლ კოშესა და ქიმიკოს ჟაკ ლე პრევოსტის გამოკვლევების შედეგები.

კონტაქტური ლინზებით გატაცება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. მათი ტარება თხუთმეტმა მილიონმა ამერიკელმა და სამას ათასამდე ფრანგმა სცადეს, მაგრამ ამ ლინზებით კმაყოფილი არავინ დარჩა, მათ ძნელად ეგუებოდნენ. ლინზებით შეუძლებელი იყო მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულება, ან სპორტის რომელიმე სახეობაში მონაწილეობის მიღება, რადგან ტყდებოდა, იკარგებოდა. მათი მაგარი ზედაპირის ხახუნი თვალის კაკალს აღიზიანებდა. ასე რომ, პრაქტიკულად ყველა, ვინც კი ლინზებით სარგებლობდა, უკმაყოფილებას გამოთქვამდა მათი არასრულყოფილების გამო.

1964 წელს ჩეხოსლოვაკიაში თითქოს გადაწყდა კონტაქტური ლინზების პრობლემა. მათ ამზადებდნენ მოქნილი პლასტიკური ნივთიერების — ჰიდრონისაგან. ეს ლინზები უსიამოვნო შეგრძნებას არ იწვევდნენ და თვალსაც არ აღიზიანებდნენ. ვინც კი ისინი გასინჯა, ჩვეულებრივი სათვალის ხმარება აღარ უნდოდა. ერთმა ამერიკულმა ფირმამ სასწრაფოდ შეიძინა პატენტი და ლინზები სერიულ წარმოებაში ჩაუშვა. მაგრამ გამოირკვა, რომ მასალას, რომლისგანაც ლინზები მზადდებოდა, სიმტკიცე აკლდა.

ბოლოს, აი ფრანგმა ქიმიკოსმა ჟაკ-ლე პრევოსტმა ლინზების დასამზადებლად ახალი მასალა — ოფტამოლი შექმნა. მან ოფტამოლი ვინილური რეზინისაგან დაამზადა და მისი შესანიშნავი სტაბილურობის გარანტიას იძლევა. თავის მხრივ ექიმმა პოლ კოშემ განაცხადა, რომ მან ოფტამოლი გამოსცადა 150 პაციენტზე და არცერთი უარყოფითი შედეგი არა აქვს რეგისტრირებული.

მეცნიერებს განზრახული აქვთ მოამზადონ მზისგან დამცველი ისეთი ლინზები, რომლებიც სინათლის ინტენსივობასთან შეფარდებით შეიცვლებიან. ჯერჯერობით კონტაქტური ლინზების ფართოდ გავრცელებას მათი უზომო სიძვირე აფერხებს. „ხუთი წლის შემდეგ ლინზებს იგივე ფასი ექნება, რაც ჩვეულებრივ სათვალეებს“ — გვპირდება ლე პრევოსტი. გამოგონებით მეწარმენი დაინტერესდნენ. მაგრამ ექიმი კოშე ერთ აუცილებელ პირობას აყენებს: ლინზების გამოყენება შეიძლება მხოლოდ ექიმ-ოფტალმოლოგების მკაცრი კონტროლის ქვეშ. „დროა თავი დაიანებოთ ხელოსნობას, — ამბობს იგი, — ყველაფერი, რაც თვალს ეხება, აუცილებელ სამედიცინო კონტროლს უნდა გადიოდეს“.

# ლიმილი



## როგორ შევაყვაროთ თავი?

ალბათ, ლუდოვიკო XIV აღარ მოითხოვდა გემრიელი კურდღლის კერძის მეორე ულუფას, ის რომ ცოდნოდა, რომ მადამ დე მონტესპანმა შიგ „ჯადოსნური ფხვნილი“ ჩაუყარა. ამ ფხვნილს უნდა გამოეცოცხლებინა მონარქის მინავლული გრძნობები საგრფოსადმი. ბოროტი ენები ამტკიცებდნენ, სწორედ ამით ინარჩუნებდა მადამ დე მონტესპანი ლუდოვიკოს რამდენიმე წლის განმავლობაშიო.

„სიყვარულის ჯადოს“ ძალიან დიდი ხნის წინაც იცნობდნენ. იაპონიაში, მაგალითად, ქალები თავგამოდებით ეძებდნენ დაფხვნილი ნესვის ჩირისა და მოკლული და დამწვარი სალამანდრის ფერფლის ნარევს. ამ ფხვნილის ნაწილს თავისთვის იტოვებდნენ, დანარჩენი კი საყვარელი ადამიანის თავზე უნდა მოებნიათ.

სიყვარულის ელექსირის იტალიურ რეცეპტში მთავარი ადგილი ღვინოში დამხრჩვალ და შემდეგ მზეზე გამხმარ ხვლიკის ფხვნილს ეკავა. ძველმა ინდონეზიელებმა კი „სიყვარულის კოკტეილი“ ქოქოსის ზეთისგან დაამზადეს. ზეთი სულ პატარა გოგონას უნდა მოეტანა, მერე მას სხვადასხვა ნივთიერებას ურევდნენ. ამაში მთავარი ზღვის ლომის ცრემლი გახლდათ. მაგრამ აბა, იშოვნეთ ეს ცრემლები, თუ ზღვის ლომები ძალზე იშვიათად ტირიან! არა და რომ ზოულობდნენ! რას არ იზამ ადამიანი, ოღონდ თავი შეაყვარო!

„ნედელია“

## პატარა ვირტუოზი

ლეანდრო აკონჩა 6 წლისაა და ერთ საღამოში 3 ათას დოლარს იღებს! მას უწოდებენ „ახალ მოცარტს“, ხოლო საკონცერტო დარბაზები, როცა ის გამოდის, ხალხით არის გაჭედილი.

პატარა ლეანდრო წარმოშობით ესპანელია, ის პიანისტის შვილია. მამამისმა შვილის მუსიკალური ტალანტი შემთხვევით აღმოაჩინა, როდესაც ბავშვი 3 წლისა იყო. ოთხნახევარი წლისა რომ იყო, ლეანდრომ კარგად იცოდა ნოტები და რთულ ნაწარმოებებს ასრულებდა. 5 წლისა უკვე საჯაროდ გამოვიდა. ამ ბოლო დროს მილანში მან შეასრულა ბახის, მოცარტისა და შოპენის ნაწარმოებები.

ლეანდრო ნორმალური, მხიარული ბავშვია. მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ ის წელიწადში მხოლოდ 6 კვირის განმავლობაში გამართავს კონცერტებს. ლეანდრო დღეში მხოლოდ ორ საათს ვარჯიშობს, დანარჩენ დროს კი თამაშობს. „მუსიკა ისევე მიყვარს, როგორც ჩემი სათამაშო მანქანები“, — განაცხადა ახლახან პატარა ვირტუოზმა.

## წინასწარმეტყველი

ვიდალ სამსონმა — ინგლისელ პარიკმახერთა ხელმწიფემ — ამას წინათ 1980 წლის ვარცხნილობების შესახებ იწინასწარმეტყველა. სამსონი ამტკიცებს, რომ ამ დროისთვის, როგორც ქალების, ისე კაცებისთვის მოდაში იქნება გადაპარსული თავი.

ვიდალ სამსონი, ისევე როგორც ამერიკელი მოდელიორი ჰენრაიპი, ამტკიცებს, რომ ადამიანის თავს მშვენიერი მოყვანილობა აქვს და ის თმით არ უნდა დაიფაროს. იმათ, ვისაც ლამაზი ფორმის თავი არა აქვთ, შეუძლიათ „ულამაზო“ ადგილებზე თმა დაიტოვონ, ისე, როგორც ამას ზოგიერთი ზანგი აკეთებს, მაგრამ, ვიდრე, სამსონის მტკიცებით, მოდაში შიშველი თავები შემოვა, ამჟამად პარიკებით არიან გატაცებული ქალებიცა და კაცებიც. ყოველი მეათე ქალი ატარებს „თმის შემცვლელს“. თანდათან მომრავლდა მამაკაცის პარიკები. მას არა მარტო მელოტი მამაკაცები ყიდულობენ, არამედ ახალგაზრდებიც, რომლებსაც, მაგალითად, სურთ სამსახურში მოკლე თმით იარონ, საღამოობით კი გრძელი თმით თავი მოაწონონ ქალიშვილებს.

## ჰამპერდინკი

ამჯერად სიმღერის მოყვარულები შემსრულებელთა შორის პირველად ასახელებენ მხოლოდ რამდენიმე მამაკაცის გვარს: ტომ ჯონსს, ელვის პრესლის, მიკ ჯაგერს, სემ დევისს. უკანასკნელ ხანს ამ სახელებს ენგელბერტ ჰამპერდინკიც მიემატა. ეს ახალგაზრდა ინგლისელი ყველაზე შრომისმოყვარეა ჩამოთვლილ მომღერალთა შორის. იგი დაუღალავად მოგზაურობს მთელს მსოფლიოში, გამოდის ლას ვეგასში, აზიაში, ბბს-ის კამერების წინ და ამერიკაში, მაგრამ ძალიან იშვიათად ჩადის ინგლისში, სადაც მას მეუღლე, სამი შვილი, სამი როლს-როისი და ერთი მერსედესი უცდის.

ენგელბერტ ჰამპერდინკი ძალიან დაძაბულად მუშაობს: გამოდის კონცერტებზე, მოგზაურობს და იწერს სიმღერებს ფირფიტებზე, რომლებიც უკვე 100 მილიონის რაოდენობით გაიყიდა. საიდან აქვს მას ეს ტემპი? ჰამბერდინკს სიღარიბის ეშინიაო, — ამტკიცებენ მისი ახლო ნაცნობები.

ამაში გასაკვირი არაფერია. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ არ არსებობდა ენგელბერტ ჰამპერდინკი — იყო მხოლოდ დამწყები მომღერალი ჯერი დორსეი, უმუშევარი, ტუბერკულოზით დაავადებული კაცი. შემთხვევით მისი პიროვნებით დაინტერესდა მენაჯერი გორდონ მილსი, რომელმაც ადრე ტომ ჯონსი აღმოაჩინა. მილსმა გამოუგონა დორსეის ფსევდონიმი „ჰამპერდინკი“ — 50 წლის წინათ გარდაცვლილი საოპერო კომპოზიტორის გვარი. ერთი ღამის განმავლობაში ჰამპერდინკი სახელგანთქმული გახდა. მისი სიმღერა შლიაგერად იქცა...

„კობიეტა ი ჟიჩე“

თარგმნა ე. ხარატიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალის სამყაროში

# ბიზნესის წყარო

„თქვენი შვილი უვნებელია, მაგრამ თუ არ გადაიხდით ამდენსა და ამდენს (ასახელებენ თანხას), ჩვენ არ გაძლევთ იმის პირობას, რომ ის ცოცხალი გადარჩება", — აი, ტელეფონით ამ ფრაზის გაგონების შიში დღეს გულს უღონებს ამერიკელს, ინგლისელს, ფრანგს თუ იტალიელს.

ბავშვთა მოტაცება ანუ კიდნეპი, როგორც მას უწოდებენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაისახა, რადგან სწორედ ამ ქვეყანაში ყალიბდება ხოლმე დანაშაულის ყველაზე ამაზრზენი ფორმები. აშშ-დან მან შემდეგ ევროპაშიც იწყო გავრცელება.

თავისთავად ცხადია, რომ მომტაცებლებს მდიდარი, გამოჩენილი ოჯახის შვილები უფრო აინტერესებთ. კიდნეპერები დარწმუნებული არიან, რომ არცერთი მამა არ დაზოგავს ფულს, რათა ბავშვი გამოიხსნას.

გენუელი ბავშვის — სერჯიო კადოლას გამოსასყიდად განგსტერებმა 200 მილიონი ლირა მოითხოვეს. ჰოდა, მიიღეს კიდეც.

თერთმეტი წლის კენნეტ იანგი (აშშ) ღლისით, მზისით მოიტაცეს და მისი დაბრუნებისთვის მშობლებს 250 მილიონი დოლარი მოთხოვეს. მშობლები იძულებული გახდნენ, ეს თანხა მიეცათ.

„მოტაცება გაცილებით სარფიანია, ვიდრე ბანკების ძარცვა", — ცინიკურად აღიარა კიდნეპის ერთერთმა ამერიკელმა „სპეციალისტმა".

როგორც ამერიკული ჟურნალი „იუ. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტი" წერს, ძალმომრეობისა და სისასტიკის კულტს ლიტერატურაში, კინოში თუ ტელევიზიაში ადამიანები, განსაკუთრებით კი მოზარდები, ხშირად ისე აღიქვამენ, როგორც ქცევის ნორმას და ეს ხელს უწყობს დამნაშავეობის ზრდას.

პაკისტანში აღმოჩენილი იქნა განგსტერების ბანდა, რომელიც მოიტაცებდა, დაასახიჩრებდა ბავშვებს, ხოლო შემდეგ მათ პროფესიონალ მათხოვრებს მიჰყიდდა ხოლმე.

სამხრეთ იტალიის ერთ პატარა ქალაქში — ალტაბერაში წლების განმავლობაში იმართებოდა ბაზარი-აუქციონი, სადაც 11-13 წლის ბავშვებს ყიდდნენ სოფლად სამუშაოდ.

დაგომეაში ხშირია შემთხვევები, როცა მშობლები შვილებს ჰყიდიან. ასევე იტაცებენ ბავშვებს და სხვა ქვეყნებში მიჰყავთ. ამის გამო, დაგომეის მთავრობამ, ასოშიეტედ პრესის ცნობით, გადასინჯა სისხლის სამართლის კოდექსი და შიგ შეიტანა ახალი მუხლი, რომლის თანახმად ბავშვების გამყიდველები სიკვდილით ისჯებიან.



ჩვენი საოჯახო კლუბი

# ახალშობილის მოვლა

ადამიანის სიცოცხლეში ბიოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე რთული პერიოდი ახალშობილობის პერიოდია. დაბადებისთანავე ბავშვის ორგანიზმში ხდება მთელი რიგი სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციების სწრაფი გარდაქმნა და ჩამოყალიბება. ასე მაგალითად, ბავშვი იწყებს ფილტვებით სუნთქვას (რასაც მოჰყვება გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობის შეცვლა), საკვების მიღებას და მონელებას, ნივთიერებათა ცვლის საბოლოო პროდუქტების გამოყოფას და სხვა. ამასთანავე, გარემო, რომელშიც იგი მოხვდება, მისთვის სრულიად უცხოა და სავსე უამრავი ძლიერი გამღიზიანებლებით (სხივური, სითბური, შეხებითი, ყნოსვითი, მიკრობული).

ახალშობილს ყველა შესაძლებლობის დაძაბვა უხდება მის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებისა თუ გარემოს შესაგუებლად, ამიტომ აუცილებელია შევუქმნათ მას სათანადო პირობები, რათა გაეუადვილოთ ამ რთული პროცესის დაძლევა.

ოთახი, რომელშიც ახალშობილს მოვათავსებთ, უნდა იყოს ნათელი, შეძლებისდაგვარად ხალვათი, მზიანი, ხშირად ნიავდებოდეს, სითბო არ უნდა აღემატებოდეს 20°-ს. იატაკი ყოველდღიურად უნდა იწმინდებოდეს სველი ტილოთი. დაუშვებელია ახალშობილის აკვანში ჩაწვენა. აკვანი ორგანიზმს ავნებს, აბრკოლებს მის ნორმალურ ზრდა-განვითარებას. ბავშვი უნდა დავაწვინოთ მაღალ, არანაკლებ 70 სმ სიმაღლის საწოლში, დავუფინოთ მაგარი, ზღვის ბალახის ან გათელილი ბამბის ლეიბი.

ახალშობილის საფენები და ტანსაცმელი იკერება რბილი, ნაზი ქსოვილისაგან, რომელიც ადვილად იწოვს სითხეს, საუკეთესოა ბატისტი, ჩითი და ბამბაზია, პერანგებს და მაცოცარებს (პოლზუნკები) არ უნდა ჰქონდეს უხეში ნაკერი. ახალშობილის კანი იმდენად სათუთია, რომ ნაკერითაც კი შეიძლება დაზიანდეს, ინფექცია შეიჭრას და მძიმე დაავადების — სეფსისის მიზეზი გახდეს. ამავე მოსაზრებით ბავშვის სარეცხი უნდა ირეცხებოდეს ცალკე, საამისოდ განკუთვნილ თასში, ასევე ცალკე უნდა ინახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდეს მისი სუფთა, გაუთოვებული ტანსაცმელი და თეთრეული. ძნელია და თითქმის შეუძლებელი ყველა ახალშობილისათვის და ყველა შემთხვევისათვის ერთი წესის რეკომენდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ახალშობილის ორგანიზმს სითბოს რეგულირების საკუთარი შესაძლებლობანი ძლიერ სუსტი აქვს და ამიტომ იგი შეიძლება ადვილად გაცივდეს ან გადახურდეს (დაისიცხოს), რაც გაცივებაზე არა ნაკლებ სახიფათოა, გადახურება იწვევს ფაღარათობას, ან ჩირქოვან გამონაყარს კანზე.

ბავშვს უნდა ჩავაცვათ გრილი ან თბილი პერანგები და მაცოცარები, დავახუროთ საბანი სეზონის და ჰაერის ტემპერატურის შესაბამისად. ფეხებზე კი ყოველთვის თბილი წინდები უნდა ეცვას.

ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ჩვენში გაბატონებული აზრი, რომ ჩვილობაში მჭიდროდ გაკრული ფეხები საწინდარია სწორი, ლამაზი ფეხებისა და რომ ახალშობილს არ შეუძლია ხელფეხშეუკვრელი ძილი. პირიქით, ხელფეხის მჭიდრო გაკვრა მავნეა ბავშვისათვის, ეს აფერხებს სუნთქვას. ხელ-ფეხის თავისუფალი მოძრაობით ბავშვი ავარჯიშებს და ინვითარებს ძვალ-კუნთოვან სისტემას, მუცლის კუნთებს, რაც ამავე დროს ხელს უწყობს აირების გამოდევნას ნაწლავიდან, აირები კი უმეტეს შემთხვევაში ბავშვის მოუსვენრობისა და ტირილის მიზეზი გახლავთ. პირველ დღეებში ხელების უნებლიე მოძრაობებით შესაძლოა ბავშვმა ძილი გაიფრთხოს, მაგრამ ის სწრაფად იძენს გამოცდილებას და ეჩვევა მშვიდ ძილს ხელფეხშეუკვრელად.

ახალშობილის პირველი ტუალეტი, როგორც წესი, სამშობიარო განყოფილებაში წარმოებს. სახლში დედამ ყოველდღე უნდა მობანოს სახე ნელთბილ, გადადუღებულ წყალში დასველებული ბამბით, თითოეული თვალი ახალი ბამბის ქულით გაუწმინდოს გარედან შიგნითა კუთხის მიმართულებით. ცხვირის ნესტოების გამოწმენდა ადვილია დაგრეხილი ბამბით, რომელიც სპირალისებური მოძრაობით უნდა შევუტანოთ და გამოვუტანოთ ნესტოდან. დუნდულების ჩაბანვა ხდება დღეში რამდენიმეჯერ, საჭიროებისამებრ, უსათუოდ გამდინარე თბილი წყლით. არ შეიძლება ბავშვის, განსაკუთრებით კი გოგონების თასში ამობანვა.

ჰიგიენური აბაზანა ჯობია ბოლო კვების წინ გაუკეთდეს, რადგან ბავშვთა უმრავლესობას აბაზანის შემდგომ ხანგრძლივად და მშვიდად სძინავს. წყლის ტემპერატურა 37 გრადუსს უნდა აღწევდეს და ეს ტემპერატურა ბანაობის მთელ პერიოდში უნდა შევინარჩუნოთ. ამისათვის კი თანდათან უნდა ჩავამატოთ ცხელი წყალი. პირველ 3-4 დღეს აბაზანა კალიუმის მანგანუმმჟავათი ოდნავ გავარდისფერებული წყლით კეთდება, შემდგომ კი — ჩვეულებრივი წყლით. ბანაობის შემდეგ ბავშვი სწრაფად უნდა შევამშრალოთ და ყურებს უკან, კისრის, იღლიების, საზარდულის და ბარძაყების ნაოჭებში სტერილური, მცენარეული (მზესუმზირის, ნუშის, ატმის, ზეითუნის) ზეთი წავუსვათ. გასტერილებისათვის ზეთიანი ბოთლი ცივი წყლით სავსე ქვაბში ჩავდგათ და შევდგათ ცეცხლზე, წყლის ადუღებიდან 5-7 წუთის შემდეგ ზეთი სახმარად მზად იქნება. ჭარბად ზეთის ხმარება არ ვარგა, რადგან კანი ველარ სუნთქავს. კანის მცირეოდენი გაღიზიანების — სიწითლის დროს კარგია 1-5-პროცენტიანი სინტომიცინის ემულსიის ხმარება, ხოლო თუ გაღიზიანება ძლიერია და კანზე წყლულებიც გაჩნდა, უმჯობესია უბნის ექიმს მიმართოთ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჭიპლარის ტაკვის მოვარდნის შემდეგ ჭიპის ჭრილობის სრული შეხორცება შეიძლება 3-4 კვირა გაგრძელდეს და ჭიპიდან გამონაჟონი ჰქონდეს, ასეთ შემთხვევაში ჭიპის რგოლში უნდა ჩავაწვეთოთ 3-პროცენტიანი წყალბადის ზეჟანგი, რომელიც აქაფდება და ამოწმენდს ჭიპს, შემდეგ ვაწვეთებთ მუქ, მოყავისფრო კალიუმის მანგანუმმჟავას 5-6-პროცენტიან ხსნარს, ან ჩავაყრით მცირე ოდენობით პენიცილინის ფხვნილს. ლიაპისის ფანქრით ჭრილობის მოწვა საკმაოდ რთულია, რადგან უმთავრესად იგი ჭიპის რგოლში ღრმად არის ჩამალული და ჭრილობის მოწვასთან ერთად ჭიპის რგოლის შიგნითა კანიც ზიანდება და წყლულდება. თუ გამონაჟონი მოიმატებს, ან ჭიპის ირგვლივ სიწითლე გაჩნდება, მაშინვე უნდა ვუჩვენოთ უბნის ექიმს, რომ ინფექცია უფრო ღრმად არ შეიჭრას ორგანიზმში და არ ჩამოყალიბდეს ზოგადი დაავადება — სეფსისი.

ახალშობილი ხშირად უნდა ვასეირნოთ ჰაერზე ორი კვირის ასაკიდან, ჯერ 20-30 წუთი, შემდგომ 40-50 წუთი და ასე თანდათანობით გავუხანგრძლივოთ სუფთა ჰაერზე ყოფნის დრო. სეირნობა წელიწადის ყოველ დროს შეიძლება, გარდა ქარიანი ამინდისა, ძლიერი ყინვებისა და პაპანაქება სიცხისა. ზამთარში ბავშვი შუადღის საათებში უნდა ვასეირნოთ, დანარჩენ დროს კი — დილა-საღამოს.

ახალშობილის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედის რძით კვებას. დედის რძე მთლიანად უზრუნველყოფს ბავშვის პლასტიკურ, ენერგეტიკულ და იმუნურ მოთხოვნილებებს. ქალის რძის შემცველი ნივთიერებანი იმდენად ახლოს დგას თავისი თვისებებით ბავშვის ქსოვილებთან, რომ მისი სადარი ხელოვნური ნარევის დამზადება დღემდის მიუღწეველი ოცნებაა. ჩვილი ბავშვის საჭმლის მომნელებელი ტრაქტის შესაძლებლობანი კი ბუნების მიერ გამიზნულია ქალის რძის მიღება-მონელებისათვის, სხვა საკვების მიღების დროს მას უხდება თავისი შესაძლებლობის მაქსიმალურად დაძაბვა, რაც ხშირად ხდება მიზეზი კუჭ-ნაწლავის დაავადებებისა და ნივთიერებათა ცვლის მოშლისა.

ბავშვების უმეტესობას ქალის რძე სითხის მოთხოვნილებასაც უკმაყოფილებს და წყალი არ წყურდება, ნაწილი კი სიამოვნებით სვამს სითხეს (ჯობია ვასვათ აუდუღარი წყალი, ან ბაცი, ოდნავ დამტკბარი ჩაი).

ძუძუთი კვება დადებითად მოქმედებს ბავშვის ემოციურ სფეროზეც. არსებობს საზრება, რომ დედის რძეს გარკვეული გავლენა აქვს პიროვნების ფსიქოლოგიური სტატუსის ჩამოყალიბებაში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ორსულობა, მშობიარობა და ლაქტაცია (მშობიარობის შემდეგ 10-12 თვის განმავლობაში რძის გამომუშავება) წარმოადგენს თანმიმდევრული ჰორმონალური ძვრების ერთიან ფიზიოლოგიურ პროცესს და ამა თუ იმ ეტაპზე მათი ხელოვნურად, ფიზიოლოგიურად ვადაზე ადრე შეწყვეტა, იქნება ეს მუცლის მოშლა (აბორტი), თუ რძის გაშრობა, მავნეა ქალის ორგანიზმისათვის.

ძუძუს წოვება შეუძლია ყველა დედას, გარდა იშვიათი გამონაკლისისა. როგორც კანონი, ჯანმრთელი, დროული ახალშობილი ძუძუს მოსაწოვად დედასთან მიყავთ დაბადებიდან 6-12 საათის შემდეგ, ძუძუთი კვების სიხშირე ინდივიდუალურია: შეიძლება იყოს 7-ჯერადი, ყოველ 3 საათში ერთხელ, ღამის $6^1/_2$-საათიანი შესვენებით, 6-ჯერადი, $3^1/_2$ საათში ერთხელ, ხოლო თუ დედას რძე კარგად აქვს და ბავშვიც ადვილად და ღონივრად წოვს, 5-ჯერადი, ყოველ 4 საათში ერთხელ, ღამის 8-საათიანი შესვენებით. იმისათვის, რომ ახალშობილს განვუმტკიცოთ ძუძუს წოვის რეფლექსი, რაც მისთვის გარკვეული სამუშაოს შესრულებაა და უფრო დამღლელია, ვიდრე საწოვარით წოვა, აუცილებელია, რომ ბავშვმა ყველა კვებაზე წოვოს ძუძუ, განსაკუთრებით პირველ დღეებში, ეს იმიტომაცაა საჭირო, რომ ამ დროს მეძუძურ ქალს აქვს „ხსენი", მართალია, მცირე ოდენობით, მაგრამ კალორიულად ორმაგი ღირებულების რძე, რაც ბავშვისთვის ზედმიწევნით სასარგებლოა. შემდგომში რძის გამომუშავება ძლიერდება და ზოგჯერ ახალშობილს არც კი შეუძლია გამოაცარიელოს ძუძუ, ამიტომ ძუძუში დარჩენილი რძე ყოველი კვების შემდეგ უნდა ჩამოიწველოს, რადგან სარძევე ჯირკვლის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ძუძუს სრული გამოცარიელება. წინააღმდეგ შემთხვევაში რძის გამომუშავება თანდათანობით შემცირდება — რძე გაშრება. 2-3 კვირის ასაკიდან კი ახალშობილთა უმეტესობა თვითონ აცარიელებს ძუძუს. დაახლოებით ამ ასაკში, ან ცოტათი ადრე ახალშობილი აღიდგენს ხოლმე წონას, რომელსაც სიცოცხლის პირველ დღეებში კარგავს („წონის ფიზიოლოგიური დაკლება") და იწყებს წონაში მატებას. წონის მატება მეტად ინდივიდუალურია, დიდად მერყეობს და ახალშობილობის პერიოდის დამთავრებისათვის, ე. ი. სიცოცხლის პირველი თვის ბოლოსათვის, საშუალოდ უდრის 500-600 გრამს.

გახსოვდეთ, რომ ახალშობილთა მოვლის და კვების შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ თქვენი უბნის ექიმისაგან.

**დარეჯან დიდებულიძე,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა სნეულებათა კათედრის ასისტენტი.**

# როგორ ველაპარაკოთ ბავშვებს

**დოქტორი ხ. ჯინო ცნობილი ამერიკელი სპეციალისტია ბავშვთა ფსიქიატრიის დარგში. მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს მისი წიგნიდან — „მშობლებსა და შვილებს შორის".**

უპირველეს ყოვლისა, ელაპარაკეთ ბავშვებს ისე, რომ ისინი დარწმუნდნენ: თქვენ მხოლოდ მათზე ფიქრი და ზრუნვა გამოქმედებთ და არა სურვილი — თავიდან მოიცილოთ, ან რაც უფრო უარესია, შეურაცხყოთ ან დაამციროთ ისინი. იმის მიხედვით თუ როგორ ველაპარაკებით ბავშვს, უმუშავდება მას წარმოდგენა საკუთარ თავზე, საკუთარი ღირსების შეგნება. სამწუხაროდ, იმ საუბრებს, რომლებიც ზოგჯერ ნორმალურად მიგვაჩნია, შეუძლია ჭკუიდან გადაიყვანოს ბავშვები; ჩვენ მათ ვკიცხავთ, ვარცხვენთ, ვუკითხავთ მომაბეზრებელ ნოტაციებსა და მორალს. ბრალს ვდებთ და ვაიძულებთ მწარედ განიცადონ თავიანთი დანაშაული, ვაყენებთ სულელურ მდგომარეობაში, ვამცირებთ და ვემუქრებით, ანდა წარბშეუხრელად ვცდილობთ მათ მოსყიდვას, ვაფასებთ მათ შესაძლებლობებს და ვაკრავთ იარლიყს.

ჩვენ სავსებით უარი უნდა ვთქვათ „კრიტიკულ შენიშვნებზე", რაც მხოლოდ აღიზიანებს ბავშვებს და გვიფუჭებს მათთან ურთიერთობას. მაგალითად, არ შეიძლება ბავშვებს მივმართოთ ამგვარად: „რამდენჯერ მითქვამს შენთვის... როდის ჩავარდები ჭკუაში... რა დაგემართა, შენ... არ გესმის, დაყრუვდი... მე ხომ გითხარი ერთხელ... როგორ ბედავ ასე მიპასუხო"...

## როგორ გავუსწოროთ ბავშვს

ათი წლის ლარიმ ჭიქა გატეხა. დედა: „რა დაგემართა?. რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ყურადღებიანი უნდა იყო?" მამა: „მაგასთან ვერაფერს გახდები, ბედოვლათია. ასეთი დაიბადა".

ასეთი შენიშვნები ბავშვს საკუთარი თავისადმი პატივისცემას უკარგავს. ბავშვმა შეიძლება მართლაც ირწმუნოს მშობლების სიტყვა და შეითვისოს მისთვის მიწერილი როლი: რაკი ბედოვლათია, რა გაეწყობა, იქნება ბედოვლათი.

ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიაქციოთ არა თვით ბავშვს, არამედ იმას, თუ როგორ გამოასწოროთ მომხდარი ამბავი. „ჭიქა გატყდა, უნდა მოიგავოს", „რძე დაღვარა, უნდა მოიწმინდოს".

## როგორ უნდა დაიჭიროთ თავი, როცა გაბრაზებული ხართ

როცა გაბრაზებული ხართ, ილაპარაკეთ თქვენს გრძნობებზე, აზრებზე, ფიქრებზე, მაგრამ არასოდეს არაფერი თქვათ ბავშვზე. ისწავლეთ თქვენი წყრომის გამოხატვა ისე, რომ სხვას არ მიაყენოთ წყენა. ბავშვები დამნაშავენიც რომ იყვნენ, ნუ შეარცხვენთ და ნუ დაამცირებთ, ნუ დაგმობთ მათ უზნეობას, ნუ შეეხებით მათ პიროვნებას, ნუ შეურაცხყოფთ მათ ღირსებას. იმის თქმა, რომ მე აღელვებული ვარ, მე ნაწყენი ვარ, მე გაჯავრებული ვარ, გაცილებით უკეთესია, ვიდრე: შენ იდიოტი ხარ... ეს რა ჩაიდინე, რა დაგემართა?..

დაიხსომეთ, როცა გაჯავრებული ვართ, ბავშვები ჩვენს ყოველ სიტყვას დიდი გულისყურით უსმენენ.

## როგორ მივაჩვიოთ ბავშვი წესრიგს

დისციპლინის აღზრდაში ერთი გრამი გაფრთხილება კილოგრამ სასჯელს აღემატება. სადილზე 10 წლის ლენი ხმაურით ჭამს და ამასთან პირდაღებული ღეჭავს საჭმელს. მოთმინებიდან გამოსულმა მამამ შეუყვირა: „ადე, მოცილდი სუფრას, გოჭივით [illegible]-თავ. იცი, რა არის გოჭი?" — „დიახ", — პასუხობს აცრემლებული ლენი, — „[illegible] შვილია". ეს სცენა შეიძლება არ მომხდარიყო. მამას შეურაცხყოფა რომ არ მიეყენებინა და ეთქვა: — „ლენ, ასე ნუ ჭამ. ჭამის დროს ხმაური მეტისმეტად უსიამოვნოდ მოქმედებს ჩემზე".

რა უნდა ვიღონოთ, თუ უეცრად მოთმინება დავკარგეთ? „ზოგჯერ უკიდურესობამდე მივდივარ, — მითხრა ერთმა ქალმა, — როცა გავტყდები, ვწყნარდები და ბავშვს ვეუბნები: მეც ადამიანი ვარ, მეტის ატანა აღარ შემიძლია, მოთმინებიდან რომ გამომიყვან, გცემ. მაგრამ განა ჩემი ბრალია? ცემა არც მე მომწონს, ჰოდა, ნუ მაიძულებ". დისციპლინის აღზრდისათვის დიდებს შეუძლიათ უჩვენონ ბავშვს თუ როგორ უნდა დათრგუნონ უარყოფითი ემოციები და ამით მაგალითი მისცენ მათ.

მამას სადაცაა მოთმინება გაუწყდება, გრძნობს, რომ შვილს შემოჰკრავს და ამბობს: „ვხედავ შენზე სიტყვა აღარა სჭრის, აბა თავს უშველე, გაიქეცი, თორემ გცემ". ბიჭმა მოკურცხლა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მან კარებში შემოჰყო თავი და იკითხა: „შეიძლება?" „შემოდი, — ეუბნება მამა — ბოლმამ გამიარა, ახლა ჩვენ შეგვიძლია იაკვ ვისაუბროთ".

## თუ ბავშვი ცრუობს

ეცადეთ, არ ჩააყენოთ ბავშვი ისეთ მდგომარეობაში, რომ იძულებული გახდეს იცრუოს. თუ ხედებით, რომ ბავშვმა საკონტროლო წერა კარგად ვერ შეასრულა, ნუ შეეკითხებით: „როგორ დაწერე საკონტროლო, იცოდე არ იცრუო, ტყუილი ვერ გიშველის", მასწავლებელმა ყველაფერი გვითხრა". ზოგიერთი მშობელი განგებ აძლევს ბავშვს ისეთ კითხვებს, რათა შეამოწმოს მისი გულწრფელობა. იქნებ ფიქრობს, რომ ასე მიაჩვევს ბავშვს სიმართლის ლაპარაკს.

ეს სწორი არ არის. უმჯობესია უთხრათ: „ვიცი, საკონტროლოს ვერ დაწერდი, ძალიან ვწუხვარ და მინდა დაგეხმარო". დაარწმუნეთ ბავშვები, რომ ტყუილი სრულებითაც არ სჭირდებათ, რომ თქვენ მზად ხართ უთანაუგრძნოთ მათ ჭირშიაც და ლხინშიაც. მშობლები ხშირად წონასწორობას კარგავენ, როდესაც ბავშვს ტყუილს შენიშნავენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სხვანაირად მართებთ თავის დაჭერა.

ენი 9 წლისაა. მან იცრუა, მაგრამ რაკი ტყუილი შენიშნეს, აღიარა, რომ ცრუობდა. დედა კი ეუბნება: „ჩვენს ოჯახში ყველანი ვენდობით ერთმანეთს. შენ კი შენი ქცევით ნდობას ვერ იმსახურებ". „მაპატიე, ასე აღარ მოვიქცევი", — ამბობს ენი. „მე შენი მჯერა", — ეუბნება დედა. იგი არც მეტ შეკითხვას აძლევს შვილს და არც პირობას ართმევს, რომ ტყუილს აღარ იტყვის, მხოლოდ თავისი ოჯახის ღირსებაზე ჩამოუგდებს სიტყვას. თუ ენი კვლავ იცრუებს, დედა იმასვე გაუმეორებს.

## როგორ მივაჩვიოთ ბავშვი პასუხისმგებლობას

ბავშვები გვეურჩებიან მაშინ, როცა ჰგონიათ, რომ ჩვენ მათ ვამცირებთ და დამოუკიდებლობას ვართმევთ.

დედამ ბავშვებს მაგიდის ალაგება სთხოვა. ისინი ზოზინობენ. დედა გაჯავრდა, მაგრამ თუ წინათ დაუყვირებდა და დაემუქრებოდა, ამჯერად ხერხს მიმართა: „როცა მაგიდა გასუფთავდება, ტკბილეულობა გაჩნდება“.

ნათქვამმა მიზანს მიაღწია.

ბავშვებზე ზემოქმედებას ახდენს მოკლე შენიშვნები, რომელიც უბრალოდ, ბრძანების გარეშეა ნათქვამი.

ცივი, ქარიანი ამინდი იდგა. 9 წლის ტოდმა დედას უთხრა: „დედიკო, მე კოვბოის ქურთუკი უნდა ჩავიცვა“. „ნახე თერმომეტრი, თუ 10 გრადუსზე მეტია, კოვბოის ქურთუკი ჩაიცვი, თუ ნაკლები — ზამთრის“,— უპასუხა დედამ. ტოდმა თერმომეტრს შეხედა. „ოჰო, ნოლია“, — თქვა მან და წყნარად ჩაიცვა ზამთრის ქურთუკი.

ხშირად დაწერილი უფრო ახდენს ზემოქმედებას, ვიდრე ნათქვამი. ერთმა დედამ, რომელიც დაიღალა ბავშვებისათვის ნოტაციების კითხვით, სცადა შეედგინა იუმორისტული განცხადება: „გვესაჭიროება 10-12 წლის ყმაწვილი, ჩასკვნილი, გონიერი, რომელსაც ძალა შესწევს გაუმკლავდეს ნადირთა თავდასხმას, სანამ სახლიდან ნაგვის ყუთამდე მივიდოდეს. მსურველებს ვთხოვთ დაიკავონ რიგი სამზარეულოში წყლის ბაკანთან.

გვესაჭიროება, აგრეთვე ლამაზი, მოხდენილი პრინცესა, რომელსაც შეუძლია სუფრის გაწყობა სამეფო ბანკეტისთვის. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ მეფური შთამომავლობის ცნობა და გაიარონ სათანადო გამოცდა ცერცვის მარცვლებზე დაფენილ ლეიბზე“.

რა თქმა უნდა, განცხადებამ საერთო სიცილი გამოიწვია, დედა კი ყველაზე მეტად გაახარა ბავშვების ქცევამ, რომლებიც იმ წამსვე შეუდგნენ საქმეს.

## „დაძინება არ მინდა“

სასურველია, რომ ბავშვებმა თავის დროზე დაიძინონ, მაგრამ აქაც საჭიროა გამჭრიახობა. ჯობია ბავშვს უთხრათ: 9-დან 10 საათამდე უნდა დაიძინო, აბა, შენ იცი როდის დაწვები“. დაე, ბავშვმა თვითონ განსაზღვროს თავისი დაძინების დრო, რომელიც ყოველდღიურად რამდენადმე სხვადასხვანაირია. ბავშვები იმიტომ ცდილობენ გვიან დაიძინონ, რომ მშობლებს მათი ადრე დაძინება სურთ, მაგრამ, როცა არჩევის უფლებას მივცემთ, მაშინ ძილი უფრო ადრე მოუნდებათ. კარგია ძილის წინ საუბარი, ის ხელს უწყობს ძილის მოგვრას. ამასთან, საღამოს საუბარი ბავშვებს საშუალებას აძლევს გაუზიარონ მშობლებს თავიანთი ფიქრები, გრძნობები, სურვილები.

## როცა ეშინიათ

ბავშვებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, რომ ყველა მათი ემოცია, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი, ჩვეულებრივი და ბუნებრივია. ჩვენ შეგვიძლია რამდენადმე განვტვირთოთ ჩვენი ბავშვები უსიამოვნო, მოუსვენარი გრძნობებისაგან, თუ ყველაფერს, რასაც განიცდიან, ნორმალურად მივიჩნევთ. შეშინებულ ბავშვს ნუ ეტყვით: არ უნდა გეშინოდეს, საშიში არაფერიაო, ამჯერად მას დამატებითი შიში გაუჩნდება იმის გამო, რომ ეშინია. შიში არ გაივლის, თუ ბავშვი მის არსს არ შეიცნობს.

როცა 10 წლის როუსი მამას გამოუტყდა, საკონტროლო წერის მეშინიაო, მამამ ისე კი არ უთხრა, როგორც საერთოდ ასეთ შემთხვევაში ეუბნებიან: რისი უნდა გეშინოდესო. არამედ დაეთანხმა: „საკონტროლოსი კი შეგეშინდება, მაგრამ გამოცდები უფრო საშიში არ არის?“

ყველაფერზე მეტად ბავშვს იმის ეშინია, რომ მას გადაიყვარებენ და მიატოვებენ. ამიტომ არასოდეს არ დააშინოთ ბავშვი, როგორი გაჯავრებულიც არ უნდა იყოთ. ზოგიერთი ბავშვი მოსვენებას კარგავს, როცა უეცრად მშობლები სახლში არ ხვდებიან. თუ სახლიდან მოულოდნელად წახვალთ, წერილი დატოვეთ. ეს ბავშვს მარტოობას შეუმსუბუქებს და უსიამოვნო გრძნობას გაუქარწყლებს.

## როგორ დავაშოშმინოთ მოჩხუბრები

თუ ბავშვებმა იჩხუბეს, ნუ ჰკითხავთ — რა მოხდა? ისინი მხოლოდ ერთმანეთის გამტყუნებას დაიწყებენ და თავს მოგახვევენ მოსამართლის როლს. როგორი მსჯავრიც არ უნდა გამოიტანოთ, ერთ-ერთ მხარეს ის მაინც უსამართლოდ მოეჩვენება. ნურც იმას იტყვით, რომ უსათუოდ შეიტყობთ სიმართლეს.

„ივენ, პირველად ხომ შენ დაარტყი“ — ეკითხება მამა. „დიახ, მაგრამ თავს ვიცავდი“.

ნუ ეტყვით ბავშვებს, რომ ჯერ ერთს მოუსმენთ და მერე მეორეს. მეორე უკვე გაიფიქრებს, რომ თქვენ პირველს უჭერთ მხარს. ნაცვლად ამისა, ბავშვებს უთხარით: „დასხედით და დაწერეთ ყველაფერი, რისთვისაც იჩხუბეთ, როგორ იჩხუბეთ და რას ფიქრობთ მომავლისათვის. გრამატიკული შეცდომები მხედველობაში არ იქნება მიღებული“.

ბავშვები ყოველთვის ასე არ იქცევიან, მაგრამ ამ წინადადებას როგორც კი იტყვით, სადღაც მიიმალებიან. ბევრი მშობელი გვატყობინებს, რომ ბავშვებს კონფლიქტის შეწყვეტა ურჩევნიათ მის შესახებ წერასო.

# სამკურნალო მცენარეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი მეორე

### კამა

კამა ქოლგოსანთა ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. იზრდება დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლისა: ივითარებს ფრთაგანკვეთილ ფოთლებს. აქვს პატარა ყვითელი ყვავილები და სასიამოვნო, არომატული გემო. გვხვდება ველური კამაც. კამას იყენებენ როგორც საჭმლის შესანელებლად, ისე სამკურნალოდ.

ქართულ ხალხურ მედიცინაში კამა შიბათისა და რაზიანას სახელით არის ცნობილი. სამკურნალო მიზნით კამას აშენებდნენ ჯერ კიდევ ძველ კოლხეთში. კამის ძირის ქერქებს იყენებდნენ თვალის სნეულებათა სამკურნალოდ, მთლიანად კამას კი — შარდგამომდენ და რძისმომგვრელ საშუალებად. კამის ნაყენი აწესრიგებს კუჭის მოქმედებას, ამშვიდებს განსაკუთრებით ბავშვებს, ჭვლებისა და უძილობის დროს.

კამის ნაყენი მზადდება ასე: ერთ ჩაის კოვზ გამხმარ, დაფქულ ან დანაყილ კამას ასხამენ ორ ჩაის ჭიქა ადუღებულ წყალს და 10 წუთის შემდეგ სუფთად გაწურავენ. ნაყენის ეს რაოდენობა ორი დღის ნორმაა. იგი ცხელი უნდა მივიღოთ დღეში სამჯერ. დღეში სამჯერ შეიძლება მივიღოთ აგრეთვე თითო გრამი კამის ფხვნილი ცოტაოდენი წყლით, ან შაქრის ნატეხზე დასხმული 10-15 წვეთი კამის ეთერზეთი.

### პიტნა

პიტნა ორგვარია: კულტურული და ველური. ორივე სახის პიტნა გამოიყენება სამკურნალოდ. ორივეს ერთნაირი სამკურნალო მნიშვნელობა აქვს.

პიტნა ტუჩოსანთა ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. გავრცელებულია როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ველური პიტნა იზრდება მდინარის პირას, მინდორში, ტყეში. სიმაღლით ერთ მეტრს აღწევს. აქვს ოთხკუთხა, დატოტვილი, ბუსუსიანი ღერო, ისხამს იისფერ ყვავილებს. სამკურნალოდ პიტნის ფოთლები მხოლოდ აყვავებამდე გამოიყენება. იგი, როგორც სამკურნალო საშუალება, უხსოვარი დროიდანაა ცნობილი პიტნის ჩაის სახით.

პიტნა კუჭ-ნაწლავის ტკივილდამაყუჩებელი საშუალებაა. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის აშლილობას, აუმჯობესებს გულის მოქმედებას, მადას, იხმარება აგრეთვე გაზების დაგროვების, ღვიძლის სპაზმების და პირღებინების დროს. პიტნას უნიშნავენ ავადმყოფებს ნაღვლის რაოდენობის მოსაწესრიგებლად, ნაღვლის ბუშტის ანთებისა და ნაღვლის ბუშტში კენჭების არსებობის შემთხვევაში. პიტნის ზეთის სპირტიანი ნაყენი (2:100) იხმარება დასაზელად (შაკიკის დროს). პიტნა გამოიყენება კანის დაავადების დროსაც, აგრეთვე ცხვირის, ყელის ლორწოვანის,

ტრაქეის ანთებისა და ბრონქიტის დროს საინჰოლაციოდ (შესაორთქლებლად). ხალხს ...ტნა სისხლის წნევის მომწესრიგებლადაც მიაჩნია. პიტნის ნახარშის აბაზანები გამოიყენება როგორც ნერვული აგზნების დამამშვიდებელი საშუალება. პიტნის ნაყენს ხმარობენ პირის ღრუში გამოსავლებად ღრძილების ანთების დროს.

პიტნის ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: იღებენ ორ ჩაის კოვზ დაფხვნილ ფოთოლს. ასხამენ ერთ ჩაის ჭიქა ადუღებულ წყალს. ნახევარი საათის შემდეგ წურავენ და თბილ ნაყენს დღეში რამდენჯერმე სვამენ. თითო დანის წვერ პიტნის ფოთლის ფხვნილს კი იღებენ დღეში ერთხელ ან ორჯერ. 2-4 წვეთ შაქარზე დასხმულ პიტნის ზეთს ხმარობენ მუცლის ტკივილის დროს.

პიტნა გამოიყენება აგრეთვე კულინარიასა და პარფიუმერიაში.

**ზ. შენგელია,**

**ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

# რჩევა დიასახლისებს

## მწვანე ლობიო პამიდორით

1 კგ მწვანე ლობიო გაარჩიეთ, გარეცხეთ. მოათავსეთ ქვაბში, დაასხით 1 ჭიქა წყალი და შედგით ნელ ცეცხლზე. ცალკე, 200 გრ კარაქში, ან 1 ჩაის ჭიქა ზეთში მოშუშეთ 3 თავი ხახვი, დაასხით მას კანგაცლილი, გახეხილი ან დაჭყლეტილი 1 კგ პამიდორი და წამოადუღეთ, დაასხით მოხარშულ ლობიოს, გააჩერეთ ცეცხლზე 4-5 წუთი, უყავით მარილი და ნიორი გემოვნებით. ცეცხლიდან გადმოდგმის შემდეგ ლობიოს მოაყარეთ 1 კონა წვრილად დაჭრილი ოხრახუში, ქონდარი და რეჰანი.

## მწვანე ლობიო არაჟნით

1 კგ სარის ლობიო მოხარშეთ, კარგად გაწურეთ და მოათავსეთ თასზე. დანაყეთ რამდენიმე ძირი აყვავებული ქინძი, ნიორი და მარილი გემოვნებით და 200 გრ არაჟანთან ერთად კარგად შეზილეთ ლობიოში. თუ გსურთ, დაუმატეთ ძმარი.

ასეთივე წესით შეგიძლიათ მოამზადოთ ჭარხლის ფოთოლი.

## ჭარხლის ფოთლის მხალი ზეთით

1 კგ მოხარშული, გაწურული ჭარხლის ფოთოლი დაკეპეთ და მოათავსეთ თასზე. ნახევარ ჭიქა ზეთში მოშუშული 2-3 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი აურიეთ ჭარხლის ფოთოლს, უყავით ძმარი ან ახალი ტყემალი, მარილი გემოვნებით, ბლომად წვრილად დაჭრილი ქინძი და კამა. მზა მხალს, თუ გსურთ, ჭამის წინ მოასხით არაჟანი ან მაწონი.

## გოსტნეულის სალათი მაწვნით

500 გრ მოხარშული, დაჭრილი კარტოფილი, სამი-ოთხი მოხარშული დაჭრილი კვერცხი, 200 გრ თვის ბოლოკი, 100 გრ კამა, 100 გრ ქინძი. 1 ცალი კიტრი და 100 გრ დაკეპილი ოხრახუში მოათავსეთ თასზე, დაასხით ზედ ერთი ქილა მაწონი, აურიეთ და უყავით მარილი გემოვნებით.

## ახალი კომბოსტო ბრინჯით

500 გრ წვრილად დაჭრილი კომბოსტო მოათავსეთ ქვაბში, დაასხით ერთი ჩაის ჭიქა წყალი. ზემოდან მოაყარეთ 3 სუფრის კოვზი გარეცხილი ბრინჯი და შედგით მოსახარშად. ერთ ჩაის ჭიქა ზეთში მოშუშეთ სამი თავი წვრილად დაჭრილი ხახვი, დაასხით 1 კგ გახეხილი პამიდორი, წამოადუღეთ და ჩაუმატეთ მოხარშულ კომბოსტოს. უყავით მარილი გემოვნებით, ადუღეთ 5-6 წუთი და ცეცხლიდან გადმოდგმის შემდეგ უყავით ერთი კონა წვრილად დაჭრილი ოხრახუში, ქონდარი, ქინძი, კამა, რეჰანი.

## აჯაფსანდალი

6 ცალი საშუალო ზომის ბადრიჯანი მრგვალად დაჭერით, მოაყარეთ მარილი და, ასე დატოვეთ ერთი საათი, რომ მწარე წვენი გამოდინდეს, შემდეგ გადაავლეთ ცივი წყალი და შეწვით ზეთში. შეწვით 3-4 ცალი კარტოფილიც (თუ კარტოფილი წვრილია, აიღეთ ცოტა მეტი და ნუ დაჭრით). 3-4 თავი ხახვი მოშუშეთ ზეთში, დაასხით 1 კგ გახეხილი პამიდორი, წამოადუღეთ, უყავით მარილი, ნიორი და ბულგარული ან ჩვეულებრივი წიწაკა გემოვნებით, ცოტა ოხრახუში და რეჰანი. ეს მზა წვენი მოასხით ჭურჭელში ფენებად ჩალაგებულ შემწვარ ბადრიჯანს და კარტოფილს, 3-4 წუთით შედგით ნელ ცეცხლზე. სუფრაზე მიტანის წინ მოაყარეთ წვრილად დაკეპილი ოხრახუში და რეჰანი.

**დიასახლისი ალექსანდრა ჭელიძე**

# უკანასკნელი ადამიანები აჩედან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარაგვაის აღმოსავლეთ რაიონებში ცხოვრობს ინდიელთა ტომი აჩე. ამ ტომის ენაზე აჩე „ადამიანს“ ნიშნავს. პარაგვაის უმრავლეს მცხოვრებთა სალაპარაკო ენაზე—გუარანიზე კი მათ „გუაიაკის“ უწოდებენ, რაც „დიდ ვირთაგვებს“ ნიშნავს.

მრავალი ათწლეულის მანძილზე პარაგვაიში აჩეს ტომის ადამიანებზე ისე ნადირობდნენ, როგორც მხეცებზე. ეთნოგრაფ მარკ მიუნცელის მოწმობით (იგი ათი წლის განმავლობაში ინდიელთა შორის ცხოვრობდა), ხდება „აჩეს ტომის გეგმაზომიერი განადგურება“. ამ, ოდესღაც მრავალრიცხოვანი ტომისაგან მხოლოდ ხუთასი კაცი დარჩა. მემამულე-ლატიფუნდისტები ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც აჩეს ტომი ბინადრობს, „ითვისებენ“ — ჩეხავენ ტყეს და ნამდვილად ნადირობენ ინდიელებზე—პირველყოფილ ხალხზე, რომლებიც მხოლოდ ნადირობითა და ველური ნაყოფის შეგროვებით ირჩენენ თავს.

როცა ლატიფუნდისტთა დაქირავებული მსახურები ინდიელთა სადგომს წააწყდებიან, უფროსებს ხოცავენ, ბავშვებს კი ფერმებში მონებად ჰყიდიან. პარაგვაელი ანტროპოლოგი მიგელ ჩასე სანდიეგო ასეთ შემთხვევას აღწერს: დაქირავებული მსახური თავს დაესხა აჩეს ოჯახს, თოფით მოჰკლა მამა, აჩეხა დედა, 5 წლის გოგონა კი თან წაიყვანა და 5 დოლარად გაყიდა.

აჩეს პრობლემის „საბოლოოდ გადასაწყვეტად“ პარაგვაის დიქტატორის—სტრესნერის მთავრობამ ინდიელთათვის შექმნა რეზერვაცია —„კოლონიალ ნასიონალ გუაიაკი“, მაგრამ მიუნცელისა და სანდიეგოს აზრით, „ეს რეზერვაცია სხვა არაფერია, თუ არა სიკეთედ შენიღბული განადგურების პოლიტიკის გაგრძელება“.

ინდიელები რეზერვაციაში შიმშილისაგან იხოცებიან, რადგან მათ მხოლოდ მანიოკის და სიმინდის მცირე ულუფას აძლევენ. ყველაფერთან ერთად, რეზერვაციის უფროსად დანიშნულია ვინმე მანუელ დე ხესუს პერეირა, ინდიელებზე მონადირეთა ვეტერანი. პერეირა რეზერვაციის საპატიო სტუმრებს, როგორც წესი, ერთ წყვილ მონას მიართმევს ხოლმე საჩუქრად.

**გარეკანის პირველ გვერდზე — ვარძია; მეოთხე გვერდზე — ახალი ათონი. ფერადი სლაიდები თ. ფურცხვანიძისა.**


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის— 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის— 99-71-68. განყოფილებების — 99-50-39. მხატვრული რედაქტორის—93-98-57, საქმეთა მმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 19/VI-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VII-73 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$ ფიზი კური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 125.600. შეკვ. 2151 უე 06602 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოცემული ნახაზის მიხედვით გამოხაზეთ ნატურალური ზომის თარგი. ამისათვის ურთიერთპერპენდიკულარულ სწორ ხაზებზე მოცემული ზომები გადაიტანეთ სანტიმეტრებში.

ქსოვილის გამოჭრისას მხედველობაში იქონიეთ ქსელისა და მისაქსელის მიმართულება და გაითვალისწინეთ ნაკერისათვის საჭირო დანამატი. 1,5 სანტიმეტრი ემატება ღია ნაკერებს, როგორიცაა, გვერდითი ნაკერი, მხრის განაჭერისა და იღლიის ამოღებულობის ნაკერი, ხოლო 0,7 სანტიმეტრი ემატება დახურულ ნაკერს (კისრის განაჭერი ნაპირი და ყველა ის ნაკერი, რომლითაც ქობა მუშავდება). წელის ხაზზე 1,5-3 სანტიმეტრი დანამატია საჭირო, ხოლო ბოლოს დასამუშავებლად კი — 4-7 სანტიმეტრი დანამატი. ამ ნახაზით აგებული თარგი, გაანგარიშებულია 50 ზომის პროპორციული ტანისათვის.

ბეტა ნანუკაშვილი,
საქართველოს მოდელების სახლის უფროსი მხატვარი-მოდელიორი.





ИНДЕКС 76178